კვირა, 25 მაისი 1924 წ. მეოთხე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 27 ყოველკვირეული ჟურნალი № 27

რედაქცია და კანტორა	ფასი	რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.	5 კაპ. ბაჯაღლო ოქროთი	ღ ი ა ა ყოველ დღე { დილის 9—1 / საღამოს 3—5 -დე. კვირა-უქმე დღეს 10—3 ს.-დე.

მენშევიკური სექტის არა ლეგალურმა ცეკამ მოჰკლა ამხ. ილარიონ გიორგაძე.

ჯალათების მიერ გასული წლის 29 დეკემბერს მოკლულ იქნა ძველი მუშა, პატიოსანი ამხანაგი, მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული რევოლიუციონერი ილარიონ გიორგაძე.

ვინ მოჰკლა ის?

ჩვენ მაშინვე ვამობდით, რომ გამოფხიზლების გზაზე შემდგარი, რევოლიუციის წითელ დროშასთან მისული ამხ. ილარიონი გაკოტრებულ, პოლიტიკურ შანტაჟისტების მოკლული იყო.

სხვას არავის არ შეეძლო ჩაედინა ასეთი საზიზღარი საქმე. ვინაიდან მშვიდ და წყნარს, პირად ცხოვრებაში სამაგალითო ადამიანს, ამხ. ილარიონს ასეთი პირადა მტრები არა ჰყავდა.

დღეს გამოირკვა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით.

უშანგი ლომინაძის წერილი, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს ჟურნალში, ხდის ფარდას და კიდევ ერთხელ აჯაშკარავებს იმ პოლიტიკურ ავანტიურისტების საქმიანობას, რომელნიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიის გახუმებულ დროშის ქვეშ აფარებენ თავს.

ამ წერილიდგან სჩანს, რომ **ამხ. ილარიონ გიორგაძე მოუკლავს არალეგალურ მენშევიკურ ცეკას აგენტებს.**

რატომ მოჰკლეს ის?

შარშან დაიწყო რღვევა მენშევიკური პარტიის. საქართველოს მუშათა კლასის და რევოლიციონური გლეხობის ის ნაწილი, რომელიც მისდევდა მენშევიზმის დროშას გასცილდა მის რიგებს.

საამისო მიზეზები საკმაოთ ბევრი იყო მათ შორის უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა მენშევიკურ ცეკას ავანტიურისტულ პრაკტიკულ საქმიანობას.

ამხ. ილარიონ გიორგაძე გვიანამდის არ მისულა ახალ გზაზე შემდგარ მუშებთან ის მენშევიკური შხამით საკმაოთ იყო მოწამლული და სანამ მდგომარეობა არ ასწონ დასწონა, საბოლოოთ არ დარწმუნდა მენშევიზმის სიკოტრეში, მანამდის ეს პარტია არ მიუტოვებია.

მაგრამ, როდესაც ის დარწმუნდა, იმაში რაშიაც ათასეული მუშები და გლეხები დარწმუნდენ, მანაც გადაჭრით გადავიდა რევოლიუციის მხარეზე და შეუერთდა ჩვენს პლატფორმას.

არალეგალური ცეკასათვის ეს დიდი დანაკლისი იყო.

მან წინადადება მისცა ამხ. გიორგაძეს დაბრუნებოდა არალეგალურ მუშაობას, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო.

მაშინ არალეგალურმა ცეკამ გადასწყვიტა გიორგაძის თავიდგან მოცილება. **მან მოჰკლა ამხ. ილარიონი იმისათვის, რომ ის დადგა ჩვენს პლატფორმაზე და მიატოვა მენშევიკური პარტია.**

მაგრამ მენშევიკურ ცეკას ჯალათობამ აღაშფოთა მუშათა ფართო წრეები.

ამხ. ილარიონ გიორგაძის საკვდილმა საშინელი ზიზღი გამოიწვია მის მკვლელთა მიმართ.

არალეგალური ცეკას ანგარიშებში ეს არ შედიოდა.

მან თავის გასამართლებლათ ილარიონის მოკვლა ჩეკას გადააბრალა.

— ჩეკამ მოჰკლა გიორგაძე იმისათვის, რომ შემდეგ ჩვენზე რეპრესიების გასაძლიერებელ საბუთად გამოიყენოსო,— სწერდა ცეკა ერთ ერთ თავის ფურცელში.

მენშევიზმის ნამსხვრევები იქნამდის დაეცენ, ისე გაკოტრდენ, რომ ველარ ბედავენ ლაპარაკს იმაზე, რასაც აკეთებენ.

მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ გამომზეურდა ცეკას საქმენი საგმირონი.

ერთხელ კიდევ აიხადა ფარდა და გამოჩნდა დამახინჯებული, დაავადებული სახე მენშევიზმის.

დამტკიცდა რომ ამხ. ილარიონი არალეგალურ ცეკას მოუკლავს. ამხ. ილარიონ გიორგაძის რევოლიუციონური სისხლის ჩქეფა ავაზაკების ტყვიამ შესწყვიტა.

ამ ავაზაკების სახელია: „არალეგალური ცეკა“ მენშევიკური სექტისა.

დეე იცოდეს ეს ყველამ.

წარმოების აღორძინება.

ფულის რეფორმის კარგად გატარების საკითხი, და ჩვენი მანეთის სტაბილიზაცია მჭიდროთ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ბალანსთან.

საჭიროა საწარმოო ძალთა განვითარება, წარმოების აღორძინება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, რომ შეეძლოთ დაკმაყოფილება ჩვენი მოთხოვნილებების.

ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული უცხო ქვეყნებისგან, ჩვენ არ უნდა გვქონდეს საფრთხე შინაურ ბაზარზე. ჩვენი წარმოება უნდა გვაკმაყოფილებდეს ჩვენ.

ამიტომ ერთი დიდი ამოცანა, რომელიც ჩვენ წინ ძევს, არის წარმოების აღორძინება.

ჩვენი წარმოება უნდა ავიდეს ომის წინა დროის დონემდე.

ეს ლოზუნგი უნდა იქნეს დაკვრითი წესით გატარებული.

მართალია, ასე ჩქარა შეუძლებელია ამ დონემდე მისვლა, ამას უნდა დრო, უნარიანი მუშაობა, მაგრამ ეს წინასწარი მუშაობა უნდა სწარმოებდეს დაკვრითი წესით.

მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ მანუფაქტურის წარმოება განზრახულია გადიდდეს ამ დღეებში 30 პროცენტით, წინა თვეებთან შედარებით.

ეს დიდი მიღწევა იქნება.

ა[illegible] ჯიუტი, თავდადებული ბრძოლა არ სჭ[illegible]ოსხვ ეკონომიურ დარგებშიაც.

რაც მეტი გვექნება მატერიალური სიკეთე, მით უფრო მაგარი ვიქნებით როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

ეს აქსიომაა, მაგრამ ეს აქსიომა უნდა იცოდეს ყველამ.

თუ არ გაძლიერდა ჩვენი წარმოება, თუ ჩვენ ამ ფრონტზე სუსტი დავრჩით, ჩვენი ფულის რეფორმის საკითხი დამარცხებული დარჩება. ჩვენ ვერ შევებრძოლებ[illegible] კ[illegible]ერძო ვაჭრს, ჩვენი სახალხო მეურნეობის ბალანსი იქნება ცუდი. ჩვენ არ გვექნება ვაჭრობა-მრეწველობაში აქტიური ბალანსი. ჩვენ გვექნება დეფიციტი ასეთი მდგომარეობა კი მიიყვანს ჩვენს ფულს წინანდელ ბორბის ბედამდე.

ძვ[illegible]ლი, დღეს ოკვე დასამარებული ბორ[illegible]ის ა[illegible]ი[illegible]ი ყოველთვის უნდა ედგეს თვალწინ ჩვენს სამეურნეო ორგანოებს, და ამ აჩრდილის შიშის ქვეშ უნდა სწარმოებდეს განმაკუთრებული მუშაობა ჩვენი სახალხო მეურნეობის ბალანსის გასაუმჯობესებლათ.

ბ[illegible]ოლა ეკონომიურ ფრონტზე გაცილებით რთული [illegible]ძნელია, ვიდრე ბრძოლა პოლიტიკურ ფრ[illegible]ნტზე, საბჭოთა ხელისუფლებამ გ[illegible]იმარჯვა პოლიტიკურ ბ[illegible]ძოლაში.

ჩვენ შ[illegible]დარებით მაგარნი ვართ ეკონომიურ ფრონტზეც. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ გვაქვს ისეთი შედეგი, როგორიც მოვიპოვეთ პოლიტიკურ ბრძოლაში.

მარტო ის ფაქტი, რომ კერძო კაპიტალი უკვე ებლაუქება დღეს ბითუმად, პარტიობით ვაჭრობას და უნდა გაგვიწიოს მეტოქეობა იქ, სადაც ჩვენი გაბატონებული სიმაღლეები უნდა იყოს, აშკარა დამამტკიცებელი ფაქტია იმის, რომ ეკონომიურ ფრონტზე კიდევ ბევრი გვაქვს სანუშავო და საბრძოლველი.

ამიტომ ამ ფრონტს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება თვითეული მუშის მხრით.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ფრონტზე გამარჯვება ნიშნავს მუშათა კლასის საბოლოოდ გამარჯვებას.

ფ. მახარაძე

ძველი სიმღერა

(ნოე ჟორდანიას წერილის გამო)

გაზეთებში გამოქვეყნებულია ნ. ჟორდანიას პასუხი ყოფილ მენშევიკების მიმართვაზე.

რამ გამოიწვია მიმართვა.

არ შეიძლება, რა თქმა უნდა, არაფერი არ ვსთქვათ ამ წერილის გამოწვევ მიზეზების შესახებ. რევოლუციის ღრმა პროცესი, რომელიც საქართველოს მენშევიკური პარტიის რიგებში დაიწყო ჯერ კიდევ 2—2½ წლის უკან, დასრულდა ბოლოს სრულიად საქართველოს ყ. მენშევიკთა ყრილობის მოწვევით გასული წლის აგვისტოში. ამ ყრილობამ, ხანგრძლივი და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, გაიცხა საქართველოს მენშევიკური პარტია, გამოაცხადა ეს პარტია დაშლილად და შემდეგ, აღიარა რა იდეოლოგიად ტაქტიკა ბოლშევიკების სწორად, სავსებით დადგა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

ვინც ამ ყრილობაზე იყო, მას არ დაავიწყდება ის აღტაცება და სიხარული რომლითაც აღფურვილი იყო მთელი ყრილობა. გრძნობდით რომ ხდებოდა, რაღაც დიადი, რომ საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში იყო გათიშული, ბოლშევიკებსა და მენშევიკების შორის წარმოებული ბრძოლის გამო, კვლავ ერთდებოდა ერთ ძმურ ოჯახში. მრავალი დელეგატები სტიროდენ ამ დროს სიხარულის გამო.

ყრილობის დელეგატები, ყ. მენშევიკები მუშები და გლეხები, შეუბრალებლათ ამხილებდენ თავიანთ შეცდომებს წარსულში, ჩადენილს ნებსით თუ უნებლიეთ — რევოლიუციის წინააღმდეგ, სოციალიზმის ნინააღმდეგაც და ამტყუნებდენ ყველაფერში არა მარტო თავიანთ წინამძღოლებს, ყოფილ ბელადებს, არამედ თავის თავსაც, ვინაიდგან ისინი უმეტეს შემთხვევაში, თავის ბედიღბალს ამარებდენ მენშევიკების ხელმძღვანელთ და ბრმათ მოქმედებდენ.

ყოფილ მენშევიკების ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა.

1923 წლ. აგვისტოს სრულიად საქართველოს ყრილობა ყოფილ მენშევიკებისა, არის დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი. მან უსათუოთ დაასამარა ჩვენში მენშევიზმი, როგორც იდეოლოგია მუშათა კლასისა. მენშევიზმი შეიძლება მოგვეკლინოს კიდევ ჩვენ ამა თუ იმ ფორმით, სახით, მაგრამ მას უკვე საერთო აღარაფერი ექნება, არც მუშათა კლასთან, არც სოციალიზმთან.

ეს ნიშნავდა მენშევიზმის სრულ გაკოტრებას. ამ ყრილობას დელეგატები, წვერშევერცხლილი რევოლიუციონერები, მუშები და გლეხები ცარიზმის დროს კატორღაში და ციმბირში ნაწვალები მუშათა კლასის საქმისათვის, მონანიების ულრმესი გრძნობით ლაპარაკობდენ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის პროცესში ისინი ობიექტიურად ემსახურებოდენ არა მუშათა კლასს და რევოლიუციას, არამედ თავი ამოყვეს კონტრ რევოლიუციის და მუშათა კლასის მტერთა ბანაკში.

ერთად ერთ ნუგეშად ახალ შემოერთებულ ამხანაგებს ის ჰქონდათ, რომ პროლეტარული რევოლიუციის საქმე ჯერ კიდევ დამთავრებამდის შორს არის და მათი რევოლიუციონური ენერგია იპოვის გასავალს ამ რევოლიუციის და მუშათა კლასის სასარგებლო საქმეში.

რატომ მოიგონეს ნოე ჟორდანია?

გასაგები და სრულიად ბუნებრივია, რომ ამ საზეიმო წუთებში ძველ რევოლიუციონერებს და მუშათა საქმისათვის მებრძოლთ, მოეგონებიათ ის ადამიანი რომელიც ჩვენში, საქართველოში, ათეულ წლების განმავლობაში იყო მენშევიზმის მეთაური და რომელსაც ისინი ყველაზე უფრო ენდობოდენ. ასეთი ადამიანი იყო ნოე ჟორდანია. ისინი მუდამ მისდევდენ მას ბრმათ, ანგარიშსაც კი არ აძლევდენ თავს. გაიხსენეს რა ის, ყრილობის დელეგატებს არ შეეძლოთ არ გაეზიარებიათ მისთვის ის აზრები, რომელიც

მათ სრულიად დამოუკიდებლათ მიიღენ საქართველოში მენშევიზმის დაცემის და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გასულ დროს ანალიზის შედეგათ.

ჩამოაყალიბეს რა ყველაფერი ეს მიმართვაში, ისინი სთხოვდენ მას მეგობრულათ და ამხანაგურათ, აეწონ დაეწონა ყველა ეს მასალა და მიებაძა მათი მაგალითისათვის ე. ი. ეთქვა ის რაც მოხდა. ეცნო საჯაროთ მენშევიკური პარტიის გაკოტრება და დამდგარიყო ბოლშევიზმის პლატფორმაზე.

მენშევიზმის ბელადები და მენშევიკური მუშათა მასა.

მაგრამ აი აქ გამოაშკარავდა ღრმა განსხვავება მენშევიკურ მასასა, ერთის მხრივ და მის ბელადს შორის, მეორეს მხრივ. სახელდობრ: მართალია საკმაოთ ძნელათ მარა, მუშები და გლეხები მაინც პოულობენ სწორ გზას სოციალიზმისაკენ, ვიდრე მათი ბელადები. ყრილობის-დელეგატებს, ჭრომლებმაც ჟორდანიასადმი მიმართვაზე ხელი მოაწერენ, გულწრფელად სწამდათ, რომ ის გულდასმით მოეკიდებოდა ამ მიმართვას, გაჰყვებოდა მათ გზას, თუნდაც იმიტომ რომ შემდეგში უჯარო ღენერლათ არ დარჩენილიყო.

ნოე ჟორდანიამ ვერ აითვისა გარდატეხა მენშევიკურ მასებში

მაგრამ ნოე ჟორდანიას საუბედუროთ, გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილი ამტკიცებს, რომ მას სრულებით ვერ გაუგია ის ღრმა გარდატეხა, რომელიც საქართველოს მუშებში და გლეხებში მოხდა. მან სრულებით ვერ შესძლო შექმნილი მდგომარეობის შეფასება და მოსწერა მისდამი გულწრფელად განწყობილ მუშებს და გლეხებს, რომელნიც ოდესღაც მას უსაზღვროთ ენდობოდენ პირფერობით და სიყალბით აღვსილი წერილი. ვინღა უნდა მოატყუოს ეხლა ნოე ჟორდანიამ საქართველოში? ვინღა დაუჯერებს მას ეხლა? სხვა რომ არა იყოს რა, სამი წლის ბატონობა მენშევიკების საქართველოში და სამ წელზე მეტი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების აქ—ტყუილად ხომ არ ჩაივლიდა? ამ სამი წლის განმავლობაში საქართველოს მუშებმა და გლეხებმა რამე ხომ ისწავლეს?! ნოე ჟორდანიას წერილი ალბათ ჩვენი მუშების და გლეხების უვიცობის იმედით თუა შედგენილი. ჟორდანია ფიქრობს, რომ მუშები და გლეხები, წაიკითხავენ რა მის წერილს დაუჯერებენ ლიტონ სიტყვებს.

რას ამბობს ნოე ჟორდანია?

საკითხავია, რას სწერს ნოე ჟორდანია ყოფილ მენშევიკებს და როგორ ფიქრობს ის დაარწმუნოს ისინი, იმაში რომ საბჭოთა ხელისუფლებას მუშათა კლასისათვის მაოლოდ ზიანი მოაქვს, რომ ის მას დაღუპვას უქადის, და რომ მისი ხსნა მხოლოდ ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმშია?

უწინარეს ყოვლისა ნოე ჟორდანია ამბობს იმას, რომ ყოფ. მენშევიკებმა თითქოს იმიტომ გაიცხეს მენშევიკური პარტია და მიატოვენ მისი რიგები, რომ მათ ცუდი ინფორმაცია ჰქონდათო, რომ მათ არ იცოდენ და არც იციან თუ რა ხდება საქართველოში, რუსეთში. ევროპაში და ეს იმიტომ არ იციან რომ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი ბეჭვდითი სიტყვა არ არისო.

იქ სადაც არ არის საბჭოთა წყობილება.

მენშევიკები და ბურჟუაზია აღრჩობენ მუშათა პრესას. ნოე ჟორდანია აქ იბრძვის, არც მეტი არც ნაკლები, სიტყვის და წერის თავისუფლების მონიჭებისათვის კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიისათვის, თეორგვარდიელ დენიკინელებისა და თავადებისათვის. დეე ბ. ჟორდანია გაჯავრდეს რამდენიც სურს, პროლეტარიატი პრესის თავისუფლებას თავის კლასიერ მტერს მაინც არ მიანიჭებს. უკეთესია სთქვას ნოე ჟორდანიამ სიმართლე სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების შესახებ ნაქებ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ევროპაში და ამერიკაში. ეს სიმართლე კი იმას ლაპარაკობს, რომ ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლება იქ არსებობს მხოლოდ ბურჟუაზიისათვის, ხოლო მუშათა კლასისათვის კი არა. ამის დასამტკიცებლათ ნოე ჟორდანიას შეეძლო მოეყვანა უამრავი მაგალითები, ბურჟუაზიული ქვეყნების პრაქტიკიდან, რომელშიაც მუშათა პრესა ან სრულებით ჩახრჩობილია, ან და ძლივს ძლიობით მიათრევს სულს. ყველაფერი ეს ხდება იქ ნ. ჟორდანიას მეგობრების, სოციალ დემოკრატების უახლოესი მონაწილეობით.

„თავისუფლებანი“ მენშევიკების დროს.

მაგრამ შორს ნუ წავალთ და ვკითხოთ მასვე: როგორ ხორციელდებოდა თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის და სხვა „დემოკრატიული“ თავისუფლებანი საქართველოში მენშევიკების დროს, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელსაც სათავეში ედგა თვითონ ნოე ჟორდანია!

ხომ არ გაიხსენებს ის, თუ როგორ არბევდენ და ხუარავდენ მაშინ ჩვენს გაზეთებს, როგორ უმასპინძლდებოდენ ბ. ბ. სოციალ დემოკრატები—მენშევიკები, ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად, რევოლიუციონურ მუშების და გლეხების კრებებს? მოიგონოს ნოე ჟორდანიამ მუხანათური დახერეტა სრულიად მშვიდობიანი მიტინგისა 10 თებერვალს 1918 წელს ალექსანდრეს ბაღში. ამას ჰქვიან „თავისუფლება“?!

დიახ, დემოკრატიულ საქართველოში მენშევიკების დროს, ისევე როგორც ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, იყო თავისუფლება, მაგრამ ის იყო მხოლოდ ბურჟუების, თავადების, სამღვდელოებისა და სხვა გვარ მჩარ კვეუებისათვის და არა მუშებისათვის, არა გლეხებისათვის.

მაგრამ ჩვენს აზრით მთელი სამი წლის ისტორია, საქართველოში მენშევიკური ხელის უფლების ბატონობისა, არის თვალსაჩინო მაგალითი იმის დასამტკიცებლათ, რომ მეფის მოაკრობა, მუშებისა და გლეხების თავისუფლების დევნაში, არაფერით განირჩეოდა საქართველოს და სხვა მენშევიკების დემოკრატიზმისაგან.

„განგაში“

(**რომანსი**)

სალამოა ბნელდება
რადიო მეტყველებს;
ეთერი აღელდება
ცნობას აძლევს მთა ველებს:

პუანკარე მიიცვალა
აწ რა გვეშველება,
ბედმა აღარ შეგვიბრალა
აწ რა გვეშველება.

ვინ იქნება ან მის ნაცვლად,
როგორ მოგვეპყრობა
მან აქციოს იქნებ ნაცრად
ჩვენი მეგობრობა.

სტირის, ჰოსთქვამს პოლონეთი,
სლავია და სლავაკია.
სტირის მოსთქვამს რუმინეთი
პუანკარეს ლაქია,

პუანკარე მიიცვალა
აწ რა გვეშველება,
ბედმა აღარ შეგვიბრალა
აწ რა გვეშველება.

მენგო.

სად არის საზღვარი თვითმპყრობელობასა და მენშევიზმს შორის.

გაიხსენოს ჟორდანიამ ის დამსჯელი რაზმები, მეფის ღენერლების მეთაურობით, რომელთაც ის გზავნიდა რევოლიუციონური გლეხობის წინააღმდეგ. ვის თავისუფლებას იცავდა ეს დამსჯელი რაზმები? ნუ თუ დაბეჩავებულ გლეხობის თავისუფლებას?! ვინღა დაუჯერებს ამას? მან არ იცის, რომ მენშევიკების დროს სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებით სარგებლობდა ყველა კონტრ-რევოლიუციონური პარტიები და ორგანიზაციები? არ არსებობდა ყველა ეს „თავისუფლებანი“ მხოლოდ ჩვენი პარტიისათვის.

და აი ეხლა ნოე ჟორდანია უკმაყოფილოა, რომ ჩვენ, კომუნისტები, არ ვაძლევთ თავისუფლებას მუშებისა და გლეხების მტრებს.

რა სთქვა ნოე ჟორდანიამ პრესის თავისუფლების შესახებ

ნოე ჟორდანიამ და ძმათა მათ, დაბოლოს რომ თავი დაანებონ შანტაჟს და პრესის თავისუფლების მოთხოვნილების წამოყენების ბოროტათ სარგებლობას, მე მოვიყვან აქ სიტყვებს, თქმულს ნოე ჟორდანიას მიერ პარლამენტის სხდომაზე 4 იანვარს 1919 წელს:

„მე უნდა განვაცხადო—სთქვა მან:— რომ საქართველოს ფარგლებში არ გამოვა არც ერთი გაზეთი არც რუსული არც სომხური ან სხვა რომელიმე, რომელიც არ დადგება გადაჭრით საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე“ *) ეს სიტყვები ითქვა მაშინ სომხურ გაზეთ „აშხატავორ‘‘-ის დახურვის გამო, რომელიც ამყოვანებდა მაშინ ნოე ჟორდანიას მთავრობის მოქმედებას.

ეხლა კი გამოდის და ყველას გვასწავლის, რომ სიმართლის გაგება არ შეიძლება იქ, სადაც არ არის პრესის თავისუფლება“-ო.

თავს ტყუილად ნუ იწუხებს.

მთელი განსხვავება ჩვენსა, ბოლშევიკებს, და მათ მენშევიკებს შორის, იმაშია რომ ჩვენ არვის ვატყუებთ, პირდაპირ ვაცხადებთ რომ საბჭოთა წყობილება არ მისცემს პრესის თავისუფლებას, თავადებსა და კაპიტალისტებს, ისინი კი ამტკიცებენ, რომ ბურჟუაზიის დიქტატურის დროს, კაპიტალის ბატონობის, დროს, შესაძლებელია ბეჭდვის თავისუფლება. ჩვენ არვის ვატყუებთ, ვამბობთ რაც არის პირდაპირ, მენშევიკები კი შეგნებულათ სტყუიან.

*) Н. Жордания. доклады и речи стр. 197.

კიდევ ერთი სიყალბე ნოე ჟორდანიასი

კიდევ ერთ სიმართლეს ეუბნება ნოე ჟორდანია ჩვენს მუშებს და გლეხებს. მოუსმინოთ:

„რუსეთის ბოლშევიზმის მიმდევრები არიან ევროპაში, მაგრამ ისინი ყველგან **წარმოადგენენ ფრიად უმნიშვნელო ძალას**, და სულს იბრუნებენ მხოლოდ მოსკოვის ფინანსიური დახმარებით“.

ამას ქვია ნოე ჟორდანიას ენაზე, სწორი ინფორმაციაᲘ!

კოლოსალური და სწრაფი ზრდა კომპარტიებისა გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხო სლავაკიაში, ბოლგარიაში, კომინტერნის გავლენის შეუწყვეტელი ზრდა მთელს დედამიწის ზურგზე ამ უკანასკნელ წლებში, რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩათრევა თითქმის ყველა დიდ და პატარა კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ხალხების, აზიაში, ავსტარლიაში, ამერიკაში და აფრიკაში ბოლშევიკური დროშის ქვეშ—ყველაფერი ეს, წარმოიდგინეთ, ნოე ჟორდანიას „სწორი“ ინფორმაციით, მხოლოდ „უნიშვნელი ძალა*-ა, რომელიც სულდგმულობს მხოლოდ მოსკოვიდან მიღებულ ფულების საშუალებით!

ნუ თუ ნოე ჟორდანია ისე დაბრმავდა პუანკარეს, მიკდონალდის, ლოიდჯორჯისადმი სიყვარულით, რომ ველარ ამჩნევს რა ხდება მის გარშემო? ნუ თუ ვერ ამჩნევს ის შეუწყვეტელ რღვევას სოციალ დემოკრატიისა, მის გაკოტრებას ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, ბოლგარიაში, საფრანგეთში?

ნუ თუ მართლაც ფულის საშვალებით შეიძლება რევოლიუციონურ მოძრაობის გამოწვევა და შექმნა? ასეთი ზღაპრებით ეხლა უკვე ველარავის მოატყუებთ.

შემდეგ ნოე ჟორდანია იგონებს კიდევ ერთ ძველს თეორგვარდიელთა მიერ შეთხზულ, ზღაპარს, ბოლშევიკებზე და საბჭოთა ხელისუფლებაზე. ის ამბობს.

—„მე გადაჭრით მოგახსენებთ, რომ საბჭოთა სისტემა არის ახალი ფორმა პროლეტარიატისა და მთელი ხალხისა უსასტიკესი ექსპლოატაციის. კაპიტალისტური ექსპლოატაცია იძლევა იმავე დროს პოლიტიკურ საშუალებებს ბრძოლის და თავ-დაცვისას. საბჭოთა ექსპლოატაცია ამ საშვალებებსაც არ იძლევა. მის ბრჭყალებში მთელი ხალხი გადაქცეულა ილოტებათ, მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს.“—

ასეთ ინფორმაციას იძლევა ნოე ჟორდანია, რომელიც საქართველოს გასაბჭოების წინ გაიქცა ბურჟუაზიულ, „განათლებულ“ ევროპაში და მას შემდეგ იმყოფება იქ, საფრანგეთის, გერმანიის, ბოლგარელ, უნგრელ და სხვა ქვეყნების მუშა ხალხის მყვლეფელთა ფრთის ქვეშ თავ შეფარებული.

საბჭოთა „ექსპლოატაციის სისტემა“ კი მას ერთხელაც არ უნახია. საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს გაეცინებათ, როდესაც გაიგებენ იმას, თუ რას ამბობს მენშევიკი ნოე ჟორდანია საბჭოთა სისტემის შესახებ. ის ფიქრობს ეგრეთვე, რომ 8 საათის სამუშაო დღე დიდი ხანია გაუქმებულია რუსეთში და თუ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ასე, ამისათვის მუშები უნდა იყვნენ მადლობელი მენშევიკური მთავრობისა და არა საბჭოთა ხელისუფლების. ასეთ ინფორმაციას გვაწვდის ნოე ჟორდანია, რომელიც იმყოფება ამ ხნის განმავლობაში, ბედნიერ დემოკრატიულ ევროპაში.

მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენმა მუშებმა ჟორდანიაზე უკეთ იციან, როგორ სცხოვრობდენ ისინი წინათ და როგორ სცხოვრობენ ეხლა. უკეთესია ნოე ჟორდანიამ გვიპასუხოს ჩვენ, როგორ სცხოვრობენ რურის მუშები საფრანგეთის იმპერიალისტების უღლის ქვეშ, ან გერმანელი მუშები, გერმანელ მენშევიკების მმართველობის ქვეშ, რომელნიც სხვათა შორის მომხრენი არიან სამუშაო დღის 10 საათამდე გადიდებისა; ან და საერთოდ კმაყოფილია თუ არა მუშათა კლასი, რომელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოშიაც გნებავთ ევროპასა და ამერიკაში, მისი შრომის არსებულ, კაპიტალისტურ ექსპლოატაციით, სთვლის თუ არა ის საკმარისად ბრძოლისათვის და თავდაცვისათვის იმ პოლიტიკურ საშუალებებს, რომელსაც იძლევს მას ბურჟუაზიული სახელმწიფო. და რომელსაც ასე ადიდებს ნოე ჟორდანია.

საკმარისა წაიკითხოთ, მხოლოდ დეპეშები, რომელიც ყოველ დღე იბეჭდება ჩვენს გაზეთებში, რომ რამოდენიმეთ უკვე წარმოიდგინოთ ის უბედურება, რომელსაც განიცდის დღეს მუშათა კლასი, რომელ ბურჟუაზიულ სახელ წიფოშიაც გნებავთ, სულერთია მართავს მას წმინდა წყლის ბურჟუები პუანკარე და ლოიდ ჯორჯი, თუ მათი ლაქეები სოციალ დემოკრატები ჟორდანის მაკდონალდის და სხვა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს და არც ვამბობთ, რომ ჩვენში მუშათა კლასის მდგომარეობა უნაკლო,

„სეზონი“

„მარქსის მთავრობას ოფიციალურად მოსთხოვეს გადადგომა“...
„მარქსი და შტრეზემანი დამნაშავეთა სკამზე უნდა იჯდენ“.

(გაზეთებიდან)

ერთი... ორი... ხუთი... რვა... არ გვეყოფა თითები.
ექვსი წელი გავიდა არ სრულდება მითები.
თორმეტი თვე-ოთხი დრო... სულ ახალი მოდები.
ყოველ ახალ მთავრობას დალოცვა და ოდები.
შეიცვალა სეზონი... ახალს უნდა ახალი;
პარლამენტში დაიწყეს უკვე აყალ-მაყალი.
გაზაფხული ილევა, კარზე დგანა ზაფხული
და მთავრობა ახალი ჯერ არ არის ნახული.

შტრეზემანმა და მარქსმა კმარა რაც რომ იძეფეს
ვერ-რას გაჰხდა ვერკერთი, თუმცა ბევრი იყეფეს.
ეხლა დროა წავიდენ—დაისვენონ სიკხეში
(და თუ გაასამართლეს მაშინ ჩასხდენ ციხეში).
მარქსმა კუჭი მოშალა (იყო მეტად უმია).
პრეზიდენტი ებერტი დგანა როგორც მუმია.
შეიცვალა სეზონი—კარზე დგანა ზაფხული
და მთავრობა სეზონის ჯერ არ არის ნახული.

„სიტყვა საფლავზე“.

რაიმონდ ძმაო და მეგობარო უძვირფასესო,
შენი სიკვდილი მე ლახვარსავით გულზე დამესო.
ვმოგზაურობდი, რომ გავიგე შენი მტერი...ო,
შენი სიკვდილი და შენს მაგივრად არის ერრიო.
უკან დავბრუნდი და რომში ბევრი დავლვარე ცრემლი...
დღეს ყველა სტირის, მხოლოდ ზეიმობს მოსკოვი, კრემლი.

შენი დაკარგვა ევროპისათვის, ძმაო, დიდია;
აწ არსებობა ბურჟუაზიის ბეწვზე ჰკიდია.
მე დავრჩი მარტო, არა მყავს მოძმე შენსავით გმირი.
ეს მაკდონალდი და შტრეზემანი არა ღირს ჩირი;
— მაგრამ, რაიმონდ... ძვირფასო ძმაო, ფიცს ვსდემ შენს წინ, რომ
მე მუსოლინი შენ წმიდა მიზნებს მთლად შევეწირო.

გაროლდი.

მაგრამ ჯერ ერთი, ეს დღითი დღე უმჯობესდება, მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ დემოკრატიის ქვეყნებში, რომლებზედაც ასე შეყვარებულია ნ. ჟორდანია, მუშების მდგომარეობა უკან და უკან მიდის. მაშ რატომ იზრდება: უმუშევრების, მუშების გაფიცვების, აჯანყებების და შეტაკებების რიცხვი ევროპაში.

მეორე ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება თვით მუშებისა და გლეხების ხელისუფლებაა. ეს პირუცვლელი სინამდვილეა და არა სიტყვა.

ჩვენი მიზანი მუშათა გაყვლეფა კი არაა, არამედ თვით კლასების და მაშასადამე, ადამიანისაგან ადამიანის გაყვლეფის მოსპობა.

სულ სხვა საქმეა ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელსაც მიზნათ აქვს ბურჟუაზიული დემოკრატიის გამაგრება და მაშასადამე შროპის ბურჟუაზიული ექსპლოატაციისაც.

ნოე ჟორდანიასათვის გამოდის წინააღმდეგ,—სახელდობრ: ბურჟუაზიული დემოკრატია ე. ი. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოები ბ. ბ. პუანკარეს, ლოიდ ჯორჯის, კლემანსო და სხვათა მზგავსი გაიძვერებისა, სამოთხეა მუშათა კლასისათვის, საბჭოთა რესპუბლიკა კი ჯოჯოხეთი.

ფაქტები?

ფაქტები რა საჭიროა ნოე ჟორდანიასათვის. ის ასე ფიქრობს—და ეს საკმარისია.

ის ჯერ კიდევ 1917 წელს, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტები და მუშები დიდი მეგობრებიაო, რომ „პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთად მართავენ რევოლიუციას“ო*), რომ „ბურჟუაზია არ არის კონტრრევოლიუციონური“ო და სხვა. ნ. ჟორდანია ეხლაც ამ აზრის ყოფილა, როგორც ამ წერილიდგან სჩანს. მას არ სურს დაინახოს ის გიგანტიური გადატრიალება, რომელიც დაიწყო დიდი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც ჩამოაგდო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

როგორც ვიცით, თავის დროზე ბურჟუაზიის გამარჯვებამ ფეოდალურ საზოგადოებაზე მოგვცა პარლამენტარიზმი, პარლამენტარული სახელმწიფო,—მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ;—ყველაზე მოქნილი იარაღი ბურჟუაზიის ხელში მშრომელი ხალხის დასამონავებლათ.

ნოე ჟორდანია კი, „რომელსაც დღემდის მოაქვს თავი სოციალისტათ, მუშათა კლასის დამცველად და წარმოიდგინეთ, მარქსისტათაც კი, ამ ბურჟუაზიულ იარაღს ესალმება როგორც დაწესებულებას **„რომლის საშუალებითაც გამოიხატება სუვერენული ნება ხალხისა“.**

ნოე ჟორდანიას აზრით ჩვენი ხელისუფლება არის „მუჟიკის“ ხელისუფლება.

რა აზრისაა იგი საბჭოთა ხელისუფლებაზე?

თავის წიგნაკში ბოლშევიზმის შესახებ, რომელიც გამოცემული ია შარშან, ჟორდანია სწერს: „ბოლშევიკებმა, დაემორჩილენ რა შეუკავშირებელ ბრბოს, უარყვეს ხელისუფლების უმაღლესი სახე (ე. ი. ბურჟუაზიული პარლამენტარული წესწყობილება ფ. მ.) და შექმნეს დაბალი სახის ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლება. ეს არის „მუჟიკის“, „მუჟიკებისა“ და გლეხების რეაქცია დასავლეთის პოლიტიკურ კულტურის წინააღმდეგ“.

ამგვარათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ნ. ჟორდანია ბურჟუაზიულ დიქტატურის და ბურჟუაზიულ ბატონობის ყველაზე უფრო მწვავე გამოსახულებას უწოდებს ხელისუფლების უზენაეს სახეს, ხოლო მუშურ გლეხურ დიქტატურას კი იგი არქმევს ხელისუფლების დაბალ სახის წოდებას.

(გაგრძელება შემდეგ ნუმერში).

---

*) Доклады и речи.

ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება.

ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებშივე, დიდი რევოლიუციით დაშინებული მენშევიკები, ისტერიულად გაჰკიოდენ საქართველოში:

— მუშებო და გლეხებო! ინგრევა რუსეთი. ანარქიაა სრული, არავითარი წესრიგი, არავითარი კანონიერება არ არსებობს. სისხლში იღრჩვება რუსეთის მუშათა კლასი-ო.

ისინი მოუწოდებდენ მუშებს არ აყოლოდენ მაცდურ ბოლშევიკებს, ხოლო თვით ბოლშევიკებს კი საქართველოში წინადადებას აძლევდენ არ დაეწყოთ ბრძოლა.

ნოე ჟორდანია ასე ამბობდა მაგალითად 2 ნოემბერს 1917 წელს: „ადგილობრივი ბოლშევიკები საბჭოების საწინააღმდეგო გამოსვლებზე კი არ უნდა აქეზებდენ, პირიქით უნდა იბრძოლონ რომ საბჭოებში მოიპოვონ გავლენა, როგორც ამას სჩადიოდენ პეტროგრადში და მოსკოვში. გამოსვლები აქ მით უმეტეს დაუშვებელია, რომ ძალა უფლება უკვე ფაქტიურად ჩვენ ხელშია კარგი ხანია. *)

ძალა უფლება ჩვენ უკვე ჩავიგდეთ, ბრძოლა უნაყოფო იქნება, რადგან მას არვის დავანებებთო, იძახოდა მენშევიკები და თან მუშებს ჩასჩურჩულებდა ყურში: ბოლშევიკებმა' დაიკავა რუსეთი და ეხლა საქართველოსაც ამასვე უპირებენო.

თავიდგანვე დაშინებული მენშევიკები დღე დღეზე მოელოდენ საბჭოების დაცემას რუსეთში და ოქტომბრის რევოლიუციის დამარცხებას, კვირეობით და დღეებით ნიშნებოდა ვადა

აი ეხლა დაცემა, აი ხლა განადგურდება ბოლშევიკები და შემდეგ ისევ „დემოკრატია" გაბატონდებაო, ამბობდენ ისინი. სხვებს არც ნოე ჟორდანია ჩამორჩებოდა. მაგრამ თან და თანობით ისინი დარწმუნდენ, რომ რუსეთში ბოლშევიზმი მკვიდრ ნიადაგზე იდგა, მისი დამარცხება და გადმოყირავება არც ისე იოლი იყო, დღეები და თვეები გადიოდა, საბჭოთა ხელისუფლება კი ყურებსაც არ იბერტყავდა მენშევიკების დანაპირების შესასრულებლათ. მაშინ დაიბადა სურვილი ამ რევოლიუციიდგან გამიჯვნის. დემოკრატიის მოტრფიალეთ, დაეკარგათ რუსეთის „დემოკრატიის" იმედი. მათ განიზრახეს ცალკე არსებობა, გამიჯნვა, ბოლშევიკური ბაციელებისაგან თავის დაზღვევა. ამ მიზნით იქმნება ამიერ კავკასიის სეიმი.

აქ ნოე ჟორდანია ამტკიცებს დიდ სიტყვაში, რომ რუსეთის ბედ იღბალი ანარქისტებს ჩაუვარდათ ხელში, რომ ადრე თუ გვიან ისინი დამარცხდებოდნენ, ხოლო მანამდის კი ჩვენ უნდა შევქმნათ „დემოკრატიული" სახელმწიფო და ანარქიისაგან გადავირჩინოთ თავიო.

აი მისი სიტყვებიც:

„და რიდესაც ჩვენ ამ რიგად მოვაწყობთ ქვეყანას, როდესაც ყველა რეფორმებს (ლაპარაკია დემოკრატიულ რეფორმაზე) გავამაგრებთ, მაშინ ჩვენ აქ ამიერ კავკასიაში მივიღებთ მტკიცეთ შეკავშირებულ ქვეყანას: მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არ შეგვეშინება ანარქიისა და კონტრ-რევოლიუციის.

ჩვენ არ ვიცით რა მოგველის ცენტრიდან. შეიძლება ერთი წლის შეიძლება ნახევარი წლის შემდეგ, იქიდგან ჩვენსკენ გამოემართოს ჩქარი ნაბიჯით უსაშინელესი რეაქცია.

ჩემი პირადი აზრი ასეთია, რომ ბოლშევიზმი გათავდება რეაქციით, და თუ ჩვენ ვიქნებით შეკავშირებული, თუ ქვეყანა იქნება მაგარი, თუ ამიერ კავკასია გადაიქცევა უფლებრივ ქვეყნათ, მაშინ ჩვენ არ შეგვეშინდება.''

ასე ამბობდა ნოე ჟორდანია, მაგრამ გავიდა ნახევარი წელიწადიც, ორი და მეტი წელიც, მას შემდეგ და საბჭოთა წყობილება არ დაეცა, პირიქით ის დღითი დღე მძლავრდება და მტკიცდება.

ოქტომბრის რევოლიუციის ღუმელიდან ამოსროლილი ნაპერწკლები მთელს მსოფლიოს მოედო. და ჩვენ უკვე ვართ იმის მოწმენი, რომ ძველი სამყარო თან დათანობით ეხვევა ამ ნაპერწკლებიდგან გაჩაღებულ ცეცხლში.

რუსეთში რეაქცია დამარცხდა, სასტიკათ, უსაშინელესათ, გაიმარჯვა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, ხოლო ამიერ კავკასიის „დამოუკიდებელი" ხოხოლა მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების მიერ შეკოწიწებული განიავდა უკვე დიდი ხანია. ასე გამართლდა ნოე ჟორდანის წინასწარმეტყველება.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლათ შეიძლება.

ეხლაც წერილში რომელიც ჩვენი მიმართვის საპასუხოთ არის გამოგზავნილი, ის ისევ სცდილობს დაარწმუნოს საქართველოს მუშათა კლასი ბოლშევიზმის დამარცხებაში.

—„თქვენ გული გაგტეხიათ, როცა ამბობთ, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლა უნაყოფოაო. სამი წელიწადი ვერ გაძელით, მაგრამ როცა ნიკოლოზის ბატონობას ვებრძოდით, განა მაზინ ვამბობდით, რომ ეს ბრძოლა უნაყოფოა ეს ბრძოლა რამდენიმე ათეული წელიწადი გაგრძელდა და არც უნაყოფოდ დარჩებოდა რა პირობებშიაც არ გვებრძოლა. ჩვენ ვიცოდით მხოლოდ, რომ ის დაიქცეოდა და ვიცით დღეს ის, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება უეჭველად დაიქცევა. როდის და რა პირობებში მოხდება ეს, რასაკვირველია, დღეს არ ვიცით, ამიტომ სრულიად არ ვაძლევ მე მნიშვნელობას დროს: შეიძლება განვლოს წლებმა, შეიძლება თვეებმა, ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია".

ასე ფიქრობს ნოე ჟორდანია დღესაც, ოქტომბრის რევოლიუციის თითქმის 7 წლის თავზე.

ასეთი იმედებით ჰკვებავს მუშათა კლასს.

ვინლა დაუჯერებს მას?

საქართველოს მუშათა კლასმა უკვე მიაგნო სწორ გზას, გზას რევოლუციონურ სოციალიზმისა.

ის აღარ ელის „დემოკრატიის" დაბრუნებას. არც ასეთი იმედები სჭირია. თუ რამეს ელის დღეს საქართველოს მუშათა კლასი მხოლოდ იმ საათს, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის ცეცხლში გაეხვევა მსოფლიო და პირველ ყოვლისა დასავლეთი ევროპა, „დემოკრატიის" საბატონო, რომელიც ასე უყვარს ნოეს.

კლდე.

*) Доклады и речи.

ამხ. ფარნიევის მოხსენება

(გაგრძელება იხ. № 25 ში).

სეით დევდარიანმა შარშან ჩვენი ყრილობის დამთავრების, კონფერენციების და ყრილობის დადგენილებების გაცნობა-აწონდაწონვის შემდეგ, მთელი რიგი წერილები მოათავსა ჩვენ ჟურნალში. მან გზადაგზა წინ სვლაში ბევრი, ძალიან ბევრი მოსაზრება-საბუთებით დაამტკიცა, რომ ჩვენი ყოფილი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საზღვარ გარეთ დაარსებული ბიუროს მიერ ნაწარმოები პოლიტიკა დამღუპველი აღმოჩდა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის და თუ ხელს არ აიღებენ ამ დამღუპველ პოლიტიკაზე, რეაქციის ბანაკში მოიქცევიანო. დევდარიანმა აწონ-დაწონა მეორე და მე-

სამე ინტერნაციონალების მოღვაწეობა-მოქმედება-საქმიანობა და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ მეორე ინტერნაციონალი დამარცხდა საერთაშორისო მასშტაბით, მან ვერ აამოძრავა მასში თავმოყრილი მრავალი რიცხვი მუშებისა, იგი ყველას იმედებით ჰკვებავდა ის დამარცხდა საქართველოს საკითხშიაც და საერთოდ მუშათა კლასს და მარქსიზმს დათვური სამსახური გაუწია. მესამე ინტერნაციონალი კი ამ მხრივ მოძრავიხერხემლიანია ის ახერხებს სიტყვის საქმეთ გადაქცევა-განხორციელებას და ამიტომ ყველა მარქსისტი მასთან უნდა იყოსო. აი ამხანაგებო მოკლეთ ის, რაც დაწერა და მოხსენებებზე სთქვა სეით დევდარიანმა ჩვენი ყ^ილობის დადგენილებების გაცნობა-განხილვის შემდეგ. მე, ამხანაგებო, დევდარიანის დასკვნების წინააღმდეგ არაფერს ვამბობ, ვინაიდან ეს ჩვენ მასზე ადრე ვსთქვით და წინააღმდეგის მტკიცება ჩვენივე ხელით ჩვენი გამათრახება იქნებოდა. სეით დევდარიანის მთავარი შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ ის წყვეტს კავშირს მეორე ინტერნაციონალთან, ვინაიდან იგი დამარცხდა საერთოშორისო მასშტაბით, ვერ აამოძრავა მისი მიმდევარი მუშათა ორგანიზაციები, ჰკვებავდა ყველას მხოლოთ იმედებით და დათვური სამსახური გაუწია მარქსიზმს, მესამე ინტერნაციონალსაც არ უერთდება, ვინაიდან მასაც აქვს შეცდომებიო, და ამბობს, შეიძლება ახალი ინტერნაციონალი დაარსდესო. დევდარიანის მიერ მეორე ინტერნაციონალთან კავშირის გაწყვეტის შესახებ ამჟამათ არაფერს ვამბობ იმაზე მეტს, რაც დევდარიანმა სთქვა აღნიშნულ სიტყვებით. ვიტყვი მხოლოთ იმას, რომ დევდარიანი სხვებს მოუწოდებს: მესამე ინტერნაციონალი მომქმედი ხერხემლიანია, სიტყვას საქმეთ აქცევს-ანხორციელებს და მარქსისტები მასთან უნდა იყვენო, და თვითონ დევდარიანი, კი რაღაცა შეცდომისათვის ებუტება და ელის, ეგება, როდისმე, სადმე, ვინმე დაიბადოს, გაიზარდოს, შეისწავლოს ყოველი ავი და კარგი, ყოველ მოვლენათა უარყოფითი და დადებითი მხარეები, შეცდომები-ნაკლი და უნაკლულოვანოს^ანი და დაარსოს ახალი ინტერნაციონალი-ო. არ ვიცი, ამხანაგებო, ეგება დევდარიანმა იცის, რომ ეს ასე მოხდება და მალე მოხდება, მეკი ვიტვი რომ ასეთი სასწაული არ სწამდა მარქს და არც არასოდეს ურჩევდა მუშათა კლასს, ახალი ინტერნაციონალის დაარსების მოლოდინში შეცდომებს ნუ გაისწორებთ და თქვენი კლასის ორგანიზაციაში ნუ შეხვალთო. პირიქით, მარქსი და ენგელსი და მათი მიმდევრებიც, ყოველთვის ამბობდენ, შეცდომა დროზე უნდა შეამჩნიოთ და უმალვე დაუყონებლივ უნდა გაასწოროთ, ვინც ასე არ მოიქცევა, მას არ შეუძლია უხელმძღვანელოს მუშათა კლასის მოძრაობას და რევოლიუციის საქმეს დაღუპავსო, და აქედან დასკვნა გამოქონდა, ერთი მიზან შეწონილი მოქნეული ტაქტიკა თორმეტ პროგრამას აჯობებსო. დევდარიანი კი ამბობს, ყველა მარქსისტი კომუნისტურ პარტიასთან უნდა იყოსო, ოღონდ თვითონ არ მიდის და ამბობს: კი, მე მარქსისტი ვიყავი და ვიქნებიო. აი, ამხანაგებო სეით დევდარიანის შეცდომა ამაში გამოიხატება, და რა თქმა უნდა ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ გამოურკვეველ გზას გავყვეთ. ჩვენ არ შეგვიძლია გულზე ხელებ დაკრეფილი ვიდგეთ, არ შევეტანოთ ჩვენი წვლილი მუშათა და გლეხთა მართვა-გამგეობის განმტკიცების საქმეში და არ ჩავ^წკრიდეთ იმ პარტიის რიგებში, რომელიც ხელმძღვანელობს მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას და მარქსის მოძღვრებას— სიტყვას საქმეთ აქცევს, მოძრავი—ხერხემლიანია და ექვსი წლის განმავლობაში მეტი და მეტი ნდობა დაიმსახურა მსოფლიო მუშათა კლასისა, ვიდრე მეორე ინტერნაციონალმა, რომელსაც დღითი დღე სცილდება, შორდება ყველა საღათ მოაზროვნე მუშები და ინტელიგენციაც კი.

(გაგრძელება იქნება)

„...ᲐᲛᲡᲐᲜᲘ“

იყო და არის პარიზში ქართლოსის მეფე ჰაღარა.
ერთხელ საღამოს რადიომ ასეთი ცნობა ახარა:
„კმარა, გვეყოფა, სამშობლომ რაც სისხლი ფეტქად დაღვარა.
„დემოსიც გამოერკვია—ძველი გზა უნდა აღარა.“
მეფემ შეკრიბა ვეზირნი—სიტყვა სთქვა მეტად გრძელია:
„მამულიშვილნო, ხომ ხედავთ ლაშქარი შემოგველია.
„ცისკრის სხივებმა გაჰფანტა წყვდიადი შავი, ბნელია.
„მდგომარეობა წამხდარა, გამოსვლა მეტად ძნელია.
„დაეპატრონენ ჩვენს მამულს მოღალატენი და „სხვები“
„მე აქ ვარ შორსა მხარეში, არ სჩანს სამშობლოს საზღვრები,
„იქ მისვლა სახიფათოა, შუა არის მთები და ზღვები.
„ან ერთად ვის დაუნახავს მინდორზე მგლები და ცხვრები.“
მეფის სიტყვებმა ყურები ძირს ჩამოჰყარა სულყველა.
ყველა აშკარად ხედავდა, არსაით იყო ხსნა-შველა.
გამეფდა მკვდართა სიჩუმე... წამოდგა ერთი ნელ-ნელა
და დარღვია სიჩუმე, რომ ხრინწით მან ჩაახველა.
„ნუ დაღონდები ხელმწიფევ—გზას გამოვნახავ მელია.
„თუმც მართალს ამბობ, რომ ჩვენი მდგომარეობა ძნელია,
„მაგრამ გზა გამოსავალი არც ძნელად საპოვნელია:
„ხელმწიფედ დავსვათ ქაქუცა, არ არის საწუნელია.
და „ვაშს“ ხორომ შესძახეს (გამხნევდა მთელი ნადია)
წამოდგა ერთი და ამბობს: „ღმერთო, ნუ თუ ეს ცხადია?!
„ხელმწიფეთ დავსვათ ქაქუცა, სხვა რადგან არ გვაბადია.
„ლეკვი ლომისა სწორია და უფრო როცა ხვადია.“
გამხნევდა მეფე და უსტარს პასუხი მისცა ასეთი:
„კაპიტალია მართალი და სტყუის თქვენი გაზეთი.
„სწორია ჩვენი ფორმულა: არც იქით არცა აქეთი.
„თქვენ ცდებით... ჩვენს მხარეზეა ევროპა, აღმოსავლეთი.
„მაქედან ჩვენ რას დაკვაკლებთ—არ დავეთხოვით ბრძოლასა.
„ჩვენ გავიმარ^ჯვებთ ბოლოდროს (ასე აქვს ნაიქ^ი მოლასა)
„თუ კი მეღირსა მაქ მოსვლა განახვებ შ^ეს და ძრწოლასა.
„გათენდება და განანებ მაგ ვაუბატონის ყოლასა.“

აფ—ლე.

ᲐᲤ—ᲚᲔ.

დავიწყებული

ამ სათაურით მივმართავ მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო კომისიას ამხ. ფარნიევის და სხვების სახით, რომლებმაც თვალი აუხილეს მუშათა მასას და ნათელი გახადეს ის, თუ რამდენად იცავდა მენშევიკური პარტია მუშათა კლასს და მის ინტერესებს. მე ამ სათაურით მინდა მოგაგონოთ თქვენ, რომ ამიერ კავკასიის ფედერაციაში არსებობს აფხაზეთიც, რომელიც შედის ავტონომიურ ერთეულად საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაში და რომ ამ აფხაზეთში არიან მუშები და გლეხები, რომლებიც ოდესღაც იყვენ საქ. სოციალდემოკრატიულ მუშათა (მენშევიკების) პარტიის წევრები. ამ ჟამად ესენი ძალიან ჩამორჩენ პოლიტიკურ მუშობას და ვერ გამოურკვევიათ თ ე რა ნაბიჯი გადადგან ამ მხრივ. მაგრამ მეზობლად ე. ი საქართველოში გადადგმულ იქმნა მთელი რიგი ნაბიჯებისა ამ საკითხის გადასაჭრელად. მუშები, რომლებიც იმავე მდგომარეობაში იყვნენ, როგორშიაც ამ ჟამად აფხაზეთის მუშები იმყოფებიან, გამოფხიზლდნენ და აირჩეს საიმედო გზა პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად—გზა კომუნისტური ინტერნაციონალისა.

აფხაზეთის მუშები ელოდენ, რომ ახლო მომავალში რომელიმე თქვენთაგანი ინახულებდა მათ და უჩვენებდა იმ გზას, რომელსაც დაადგენ ყოფილი მენშევიკები გასული წლის 25 — 30 აგვისტოს. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ჩვენთან არავინ არ მოვიდა და არც არავის თავი შეუწუხებია ამისათვის. მე არ ვიცი რატომ იქნა დავიწყებული აფხაზეთის მუშათა მასა, მაშინ როცა შეიძლებოდა ზომების მიღება იმ მუშათა მასების გამოსაფხიზლებლად, რომლებიც ჩამორჩენილად ითვლებიან არა იმიტომ, რომ ისინი არ არიან დაინტერესებულნი, არამედ—ისინი იმყოფებიან სულ სხვა პირობებში: სიშორის და მიმოსვლის სიძნელის გამო ვერ არიან დაკავშირებული ცენტრთან, და მათ არ მისდის ფოსტა, ცნობები და სხვა. ხოლო ეს მასა კი ცოცხლობს ისეთივე პოლიტიკური ინტერესებით, როგორითაც ცენტრების მუშები. ყველაფერ ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს პირველ ყოვლისა ჯერ კიდევ სათანადოდ მოუწესრიგებელი მიმოსვლა. მეორე მიზეზი კი არის თქვენი უზრუნველობა ჩვენზე. გვესაჭიროება ახალი სწორი გზის ჩვენება პროლეტარიატის ინტერესების დასაცა-

პიდევ რამდენიმე საგუთი ნ. ჟორდანიას.

ნ. ჟორდანია თავის პასუხში გვეუბნება, რომ თუ რაიმე კარგი არის დღეს საქართველოში, ეს არის ნაშთი მენშევიკური მთავრობის, რომელიც ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ ვერ მოსპესო.

ჩვენს პასუხში ჩვენ აუარებელი ფაქტებით დავუმტკიცეთ ნ. ჟორდანიას მისი სიყალბე.

თუ გადავათვალიერებთ ხელფასს მაშინ და ეხლა, აშკარად ვნახავთ, თუ რა სამოთხე ყოფილა დემოკრატიული მთავრობის დროს.

აი ციფრები:

ქალ. ტფილისის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური შრომის ხელფასი იანვარში 1921 წ. და 1923 წელს.

წარმოება და შრომის დარგი.	ბონებით	ოქროზე გადატანით	პურით *) (ოქროზე გადატან.)	საერთოდ ოქრ. გად. 1920 წ. იანვარში **	1923 წ. ***) ჩვენონ ებ. ოჯახის შემოხავალი ხელფასიდან
მ უ შ ე ბ ი:					
1) რკინის გზელები. . . .	10.230	5—11	4—50	9—61	—
2) ადგილობრივ ტრანსპ. მუშ.	12.085	6—04	4—50	10—54	—
3) მელითონეები.	13 250	6—62	4—50	11—12	56—05
4) მბეჭდავები.	12.500	6 - 25	4—50	10—75	52—56
5) მეთამბაქოები	9,960	4—98	4—50	9—48	46—33
6) მკერავები	13.640	6—82	4—50	11—32	—
მოსამსახურეები:					
7) ადმინისთრ. პერსონ. .	16.450	8—22	4—50	12—72	54 73
8) საქმის მწარმოებელი. .	13 600	6—80	4—50	11—30	—
9) ტეხნიკური პერსონალი.	18.000	9—00	4—50	13—50	—
10) სამკურნ.-სასანიტ. მუშაკ.	10.350	5—17	4—50	9—67	50—56
11) განათლების მუშაკნი . .	12 930	6—46	4—50	10—96	55—08
12) ხელოვნების მუშაკნი . .	13.000	6—50	4—50	11—00	—
13) სიმშვიდის დაცვ. მუშაკ.	8.900	4—45	4—50	8—95	—
14) სახალხო კავშ. მუშაკნი .	9.290	4—64	4—50	9—14	—

ნ. ჟორდანიამ დასწამა აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლებას ციღი თითქო საქართველო აავსეს უცხოელებით.

ვნახოთ რას ამბობს ფაქტები.

---

*) ჯამაგირის გარდა ეძლეოდათ უფასოთ: მოსამსახურეზე ერთი გირვანქა პური და ოჯახის წევრზე ½ გირვანქა. თუ საშუალოთ მოსამსახურის ოჯახის წევრთა რიცხვს მივიღებთ 4 სულს, მაშინ პურის ფული თვეში შეადგენს 4 მან. 50 კაპ.

**) 1921 წლის იანვარში 10 მანეთიანი ოქრო ღირდა 20.000 მანეთი ბონებით.

***) 1923 წლის ცნობები აღებულია საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის გამოკვლევიდან.

ვად. ჩვენ ყველა ეს მივხდით, მაგრამ გადამჭრელი ზომები ვერ მივიღეთ. არ ვიცით სანამდე გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა და ბოლოს და ბოლოს როდის ეღირსებიან თქვენს ყურადღებას აფხაზეთის მუშები და გლეხები, რომლებიც მერყეობენ მენშევიკურ და კომუნისტურ პარტიებს შორის და არ იციან როგორ მოიქცენ, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მათი სიმპატია არის კომპარტიისაკენ, რომელიც ერთგულად ემსახურება პროლეტარიატის ინტერესებს. ამიტომ მე მოგიწოდებთ ამხანაგებს, ჩამოხვიდეთ აფხაზეთში, თვალი აუხილოთ მუშებს და გლეხებს და დაარწმუნოთ ისინი, რომ მესამე ინტერნაციონალი კომპარტიის სახით არის მუშათა მასების ერთგული დამცველი.

მენშევიკი მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენტები, რომლებიც წინად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკურ პარტიის დაცვაში და რომლებიც ეხლა დარწმუნდნენ, რომ მენშევიკური პარტია არ არის მუშათა კლასის ინტერესების დამცველი—ისინი მოწყურებულნი არიან გაატარონ ცხოვრებაში საქ. ყოფილ მენშევიკთა ყრილობის დადგენილებები, რომლებიც მიღებულ იქნა 25—30 აგვისტოს.

თუ თქვენ იტყვით, რომ აფხაზეთის მუშები თითონ არიან დამნაშავე იმაში, რომ დღემდე ვერ გადადგეს ვერავითარი ნაბიჯი ამ მიმართულებით, მე შემიძლია ვსთქვა შემდეგი: ჩვენ არ აღმოგვაჩნდა სერიოზული ძალები მენშევიკების ნაშთების სალიკვიდაციო კამპანიის გასატარებლად და ამიტომ ჩვენ გიცდიდით თქვენ, რომლებიც არჩეულნი იყავით ყრილობის მიერ მის ყველა დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. თქვენ მოვალე იყავით გამოგეგზავნათ ვინმე აფხაზეთში და, საზოგადოდ, სხვა ადგილებშიც, რომ გაგემარტათ და გაგეცნოთ თვითეულისათვის, თუ რამდენად თანდათან ჩამოშორდა მენშევიკური პარტია მუშათა კლასს და იქცა ნაციონალისტურ სექტათ, დაივიწყა რა მუშათა კლასიც და მარქსიზმის საბოლოო მიზნებიც. გარდა ამისა ვიტყვი შემდეგს: თქვენ, როგორც მოწინავე მუშებს გევალებოდათ მიგეთითებიათ მათთვის, რომ ერთად ერთი დამცველი მუშათა კლასის და ჩაგრულ ერების არის მხოლოდ კომპარტია, რომელიც ატარებს ცხოვრებაში მარქსიზმის სწორ ტაქტიკას და რომ ეს ტაქტიკა არის ერთადერთი პრინციპიალური ტაქტიკა მუშათა კლასის ინტერესების

საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა დანაწილება ეროვნების მიხედვით
1920—1922 და 1923 წ.წ.

ადგილების დასახელება.	ეროვნება.				
	ქართველი	სომეხი	რუსი	დანარჩენი ეროვნება	საერთოდ
					1920 წ.
ტფილისი.	9.545	4.201	4367	1.805	19.918
ქუთაისი	2.498	48	117	50	2.713
ფოთი	1.164	9	91	82	1.296
სუხუმი.	457	98	583	388	1,471
რკინის-გზის ლიანდაგი . .	12.243	1.002	1791	789	15.835
მცირე ქალაქები და მაზრები.	7.452	474	789	801	9.466
საერთოდ	33.359	5,882	7688	3.810	50.689
					1922 წ. (აგვისტო).
აბსოლიუტ. რიცხვი	28 041	18 612	26.319	9.020	81.992
					1923 წ.
აბსოლიუტ. რიცხვი.	38.949	15.384	14.722	7.667	77.672

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ქართველ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი მთავარ სავაჭრო-სამრეწველო—რაიონებში ასულა 33.359 დან (მენშევიკების დროს) 38,949-მდე (საბჭოთა ხელისუფლების დროს). სად აქვს აქ ადგილი ქართველობის შევიწროებას?

ვნახოთ ეხლა რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს დედა-ქალაქის—თბილისის—საბჭოში.

თბილისის საბჭოს მოსამსახურეთა შემადგენლობა ეროვნების მიხედვით
1920 და 1924 წ.წ.

ეროვნება.	1920 წლ. დეკემბერ.		1924 წლ. აპრილი.	
	აბსოლიუტ. რიცხვი.	% %	აბსოლიუტ. რიცხვი.	% %
ქართველი	121	60,5	402	70,0
სომეხი, ...	46	23,6	129	22,4
რუსი	23	11,5	22	3,8
თათარი	—	—	5	0,9
ებრაელი	1	0,5	2	0,3
დანარჩენი	9	4,5	15	2,6
საერთოდ	200	100	575	100

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა როგორც აბსოლიუტურად, ისე პროცენტულად შომატებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს,

უზრუნველყოფის საქმეში; **უტყუარი გზა სოციალიზმისაკენ არის პროლეტარიატის დიქტატურა.**

მე, როგორც მუშას, გამოსულს პროლეტარულ ოჯახიდან, მინდა თქვენ გისაყვედურო, რომ მთელი წლის განმავლობაში თქვენ ვერ შესძელით გაგეცნოთ აფხაზეთის მუშათა მასებისათვის ყრილობის დადგენილებები და საშვალება მიგეცათ მათთვის გამორკვეულიყვნენ, თუ როგორი პოლიტიკური ხაზის აღებაა საჭირო თანამედროვე პირობებში, რომ მთელი ძალები გამოყენებულ იქნეს პროლეტარიატის და გლეხობის სასარგებლოდ.

ყველა ზემო ნათქვამიდან გამომდინარეობს, ის, რომ ჩვენ გვესაჭიროება ხელმძღვანელი, ხოლო ასეთები ხართ თქვენ და თქვენი ამხანაგები, რომლებიც დადექით პროლეტარიატის ინტერესების დაცვის პლატფორმაზე გასულ წლის 25-30 აგვისტოს კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც ანხორციელებს რევოლიუციონურ მარქსიზმის ანდერძს.

ვთავვებ რა ჩემს საყვედურს, მოგაგონებ: არ დაივიწყოთ აფხაზეთი და მიაქციოთ ყურადღება მუშათა მასების სურვილს.

ამასთან ერთად ნება მომეცით მიგითითოთ, თუ როგორ და სად გამართოთ ყრილობები აფხაზეთში მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციისათვის.

მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთი უნდა დაიყოს ხუთ რაიონად: 1) გუდაუთ-გაგრის, 2) გუბუსტინის, 3) კოდორის, 4) სამურზაყანოს და 5) ქალაქ სოხუმის და მისი მახლობელ ადგილების, ამის დამთავრების შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს სალიკვიდაციო ყრილობა მთელი აფხაზეთის მასშტაბით ქ. სოხუმში.

ამასთან ერთად ყველა რაიონულ და სრულიად აფხაზეთის ყრილობას უნდა დაესწრონ ამხანაგები: ა. ფარნიევი გ. ვარდოიანი და სხვა მოწინავე მუშები. იმედი მაქვს, რომ თქვენ გადასდგამთ ნაბიჯებს აფხაზეთის მუშათა მასების სურვილების დასაკმაყოფილებლად და ამით შეასრულებთ (თუმცაღა დაგვიანებით) ყრილობის მიერ თქვენზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

გაუმარჯოს ყოფილ მენშევიკების 25-30 აგვისტოს ყრილობას.

გაუმარჯოს აფხაზეთის ყოფილ მენშევიკთა მუშების მომავალ ყრილობას.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ნათსადგურელი ა. ბას.

დაბოლოს მინდა მივიყვანო კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ამტკიცებს ნ. ჟორდანიას სიყალბეს.

ნ. ჟორდანია თავის პასუხში გვწერს:

—„თქვენ მწერთ: ბოლშევიკები ხომ ისეთივე მარქსისტებია, როგორც თქვენ. „ამას თქვენც გვასწავლიდით“. უკაცრავათ არა ეს მე არასოდეს არ მისწავლებია. პირიქით 1905 წლიდან ვწერდი, რომ ბოლშევიზმს არავითარი კავშირი არ აქვს მარქსიზმთან მეთქი. წაიკითხეთ არალეგალური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ 1905 წლის, გახსენეთ ნაძალადევში იმ დროს ჩვენსა და მათ შორის დავა, სადაც ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ისინი არიან მტრები დემოკრატიისა.“

ვნახოთ, ეხლა მართლა რას სწერდა და ამბობდა ნ. ჟორდანია ბოლშევიკებზე წინეთ.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა ლენინგრადს თეთრი ღენერლების ჯარები უახლოვდებოდენ, თფილისის საბჭოს სხდომაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ ბოლშევიკები რევოლიუციონერები არიან და მათი დამარცხება იქნება რევოლუციის დამარცხებაო.

ეს აზრი ნ. ჟორდანიამ შესცვალა მას შემდეგ რაც, რუსეთიდან ჩამოვიდენ კაკი წერეთელი, კარლო ჩხეიძე და ვოიტინსკი.

1913 წელს ჟურნალ, ჩვენი წყაროს № 5-ში ნ. ჟორდანია, როცა მას ეჭირა შუა ადგილი ლიკვიდატორებსა და ბოლშევიკებს შორის, სწერს: ბოლშევიზმი და მენშევიზმი წარმოიშვენ ერთ ნიადაგზე, წარმოადგენენ ორ სახეს ერთი და იმავე მოძრაობისა, ისინი ტყუპები არიან და არ შეუძლიანთ არსებობა უერთმანეთოთ. სინტეზი დამთავრდება მუშაობის პროცესში და ეს მოხდება მაშინ, როცა ისინი იქნებიან ერთ პარტიაში, ერთ ორგანიზაციაში და დაიწყებენ მუშაობას ერთად.“

ახსოვს ნ. ჟორდანიას ეს სიტყვები? ვინ უნდა მოატყუილოს, როცა ამბობს, რომ ბოლშევიკებს ის არასოდეს არ სცნობდა მარქსისტებათ?.

თუ ფიქრობს, რომ იმდენათ უვიცები ვართ, რომ არაფერი გვახსოვს?

აი კიდევ ერთი საბუთი ნ. ჟორდანიას უპრინციპობისა.

ამიერ კავკასიის ს. დ. მუშათა ორგანიზაციების მე-VI ყრილობა თავის რეზოლიუციაში ამბობს:

—„პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნებათა მუშების გაერთიანებას პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში, მხოლოთ ასეთი ერთგვარ ორგანიზაციებში გაერთიანება მისცემს პროლეტარიატს საშუალებას აწარმოოს ძლევა-მოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ.“

ამ რეზოლიუციის სულის ჩამდგმელი იყო ნ. ჟორდანია.

რას ამბობს ეხლა ნ. ჟორდანია? მას რუსეთთან კავშირი მიაჩნია საშინელ დანაშაულად.

ეს კია სრული გადაცდენა წმინდა მარქსისტულ გზიდან.

ასეთი მიხვევ-მოხვევა, უარყოფა იმისა, რასაც ამბობდა წინეთ, მერყეობა, აზრების გადამახინჯვება არის დამახასიათებელი თვისება უპრინციპობის.

ა. რ.

ყველამ გაიგონეთ!

როგორ მოკლა მენშევიკების ცეკამ ძველი რევოლიუციონერი, ჰატიოლსანი, შეგნებული მუშა ამხ. გიორგაძე

მენშევიკების სრული სიყალბე.

სრული ოთხ თვე ნახევარი გავატარე საქართველოს საგანგებო კომისიაში კარებ ჩაკეტილი. სხვა აუარებელ ბრალდებათა შორის, რომელსაც მე მიყენებდენ მთავარი ჩემი ბრალდება ილარიონ გიორგაძის მოკვლას შეეხებოდა. ამ ხნის განმავლობაში საგანგებო კომისია სასტიკ კვლევაჟიებას აწარმოებდა ჩემზე, მაგრამ მე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვსცდილობდი არაფერი დამტეხოდა თავს ისეთი, რაც უაზისოდაც იდეოლოგიურათ გაკოტრებულ მენშევიკების პარტიის პრესტიჟს დასცემდა და ერთხელ კიდევ დაასამარებდა. თუმცა ჩემშიაც ირყეოდა რწმენა და სიმპატია სოციალ-დემოკრატულ პარტიისადმი, მაგრამ ვიტყვი, რომ ჩემს თავდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო დიდი ვინემ მკითხველი წარმოიდგენს.

მაგრამ გავიდა საკმარისი დრო. ერთ დროს გაშმაგებული მომენტი სიმშვიდემ შესცვალა. მუშების აღშფოთებული გული დამშვიდდა, რადგანაც მათ შეგნებულათ გაუწიეს ანგარიში სხვის შეუგნებლობას და სრული იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი გულწრფელი სიტყვა არ გამოიწვევს კვლავ აღელვებას, მხოლოდ მას ექნება

„PARDON“

(პუანკარეს მონოლოგი)

ხომ ვამბობდი: რადგან ხალხი მიდის მარცხნივ,
ჩვენი საქმეც გათავდება მალე მარცხით
და აღსრულდა—ვერ გვიშველა დიდ ხნის სტაჟმა
და ვერც ბლოკის დიდ ტრიბუნამ.

ოი, ცხოვრებავ და ტრიალო ისტორიისა,
ბარდი რად მომეც, რომ მოკრეფა მსურდა ვისა.
ათი წელია პრემიერი ვიყავი მარად;
მილიონ სულებს მე ვაგდებდი უბრალო ჩვარად;
გარდა თავისა მე მიმაჩნდა სულყველა არად
და ვიყენებდი მრავალ ლაშქარს ცხვრებისა ფარად,
მე გავაკოცხლე ომის ღმერთი—ძლიერი მარსი
ერთმანეთს ომში შეუსივ ყოველი არსი.
ცხოვრებას მაინც სულ ახალი მე შინაარსი
და ტრაგედია ჩემთვის იყო სალხინო ფარსი.

არ მასვენებდა გერმანეთის ელზა და რური.
თვით სიყრმიდანვე მქონდა მისი მტრობა და შური...
ო, წყეულ იყოს არჩევნები, მისი მომგონი. .
ო, რა ამაოდ ბევრ თავზე მოუსვი ქონი,
რამდენი ოქრო მოსასყიდად დავხარჯე,—მაგრამ,
— მაინც ამაოდ... და პანღური ამომკრეს მაგრად.

აწ ყველაფერი არის ფუჭი, თანაც გვიანი;
მტრობით მიცქერენ ერრიო და ისევ ბრიანი...
ეს არის წესი, რომ სამშობლო აგენმა მართონ?!
მეუბნებიან: პუანკარე, უკან სდექ... Pardon.

ოი, ევროპავ, დღენი შენი უკვე ითვლება
და მალე გელის მოსკოვსავით შენ გაწითლება.
დასრულდა საქმე, ვით სიზმარი ბნელი ღამისა
და მირჩევნია მე სიკვდილი მომსწრეს ამისა...
ყველგან... სულყველგან ხალხი მიდის მარკხნივ და მარცხნივ
ყველგან თავდება ჩვენი საქმე მარცხით და მარცხით.

მენგო.

უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სინამდვილისათვის.

ამას გარდა მე საშულება მომცა ძვირფასი მასწავლებლის სეით დევდარიანის ახალი გზის სისწორემ, რომ ერთხელ და სამუდამოთ ზურგი მეჩვენებია მენშევიკების სრულ სიყალბეზე აღმოცენებულ, მაგრამ ლამაზი სიტყვებით შემკობილ ლოზუნგებისათვის.

„დემოკრატიზმი“ რეაქციონური შინაარსით გაივსო

ყველასათვის აშკარაა, რომ დღეს ყოველგვარი დემოკრატიზმი და რეფორმიზმი რეაქციონური შინაარსით გაივსო. განა კიდევ ნახავთ დღეს ისეთ აზრგაყინულ სოციალ-დემოკრატს, რომელსაც არ ესმოდეს თავისი შეცდომა და არ იცოდეს სად არის გამოსავალი გზა? მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თუ ვინმეს არ სურს გაიგოს დღევანდელი სინამდვილე, ეს მოუვა მას უშინაარსო, მშრალი თავმოყვარეობით და ამის შედეგი იქნება ერის შეგნებულათ ღალატი.

გახრწნილი და პოლ ტიკურად მკვდარი სოციალ-დემოკრატია.

დღეს სოციალ-დემოკრატული პარტია სამარცხვინოთ არის გახრწნილი და ის პოლიტიკურათ მოკვდა, როდესაც მისი რიგები დასტოვა ათეულმა ათასმა მუშამ. გვიან თქმა სჯობს უთქმელობას და ვინც დღეს არ აღიარებს თავის შეცდომებს, ის კვლავ განაგრძნობს პროლეტარიატის ღალატს. დროა ყველამ თავი დავაღწიოთ ცრუ იმედებს და ლოდინს. დროა გულწრფელად დავდგეთ პროლეტარიატის დროშის ქვეშ და ერთგული თანამშრომლობით ხელი შეუწყოთ საქართველოს კულტურულ ეკონომიურ აღორძინებას. წინააღმდეგობა—ეს ღალატი იქნება, რისთვისაც სასტიკი პასუხისმგებელი ვიქნებით რევოლიუციის წინაშე.

მე ვიჯექი საგანგებო კომისიაში დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებიდან ამა წლის მაისის შუამდის და მთელი ამ ხნის განმავლობაში მე იქ „არ ვიცის“ მეტი არაფერი მითქვამს. სინდისის წინაშე ვიტყვი, რომ მე არ შეუშინებივარ არავითარ ძალდატანებას და არც რაიმე ცუდი შედეგების მოლოდინს. დაეარწმუნდი, რომ ვცდებოდი და შეცდომის აღიარებას მთხოვდა რევოლიუციონური სინდისი. მაგრამ მე არ მინდოდა ის, რასაც აქ ვამბობ, დამეწერა ჩეკის კედლებში, ვინმეს რომ არ ეთქვა, რომ ეს მოხდა ძალდატანების ზეგავლენითო. უკანასკნელათ ვიხილეთ ს. დევდარიანის ნახვა და საგანგებო კომისიას აღუთქვი ყველაფერი მართლის გამოქვეყნება განთავისუფლების შემდეგ, რომ ვინმეს ეჭვი არ შეპარვოდა. სეიხმა მინახულა, მოხერხდა ჩემი განთავისუფლება და ამას ვწერ ჩემს საკუთარ ბინაზე.

ჩემი კავშირი მენშევიკების ცეკასთან.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე პარტიასთან არავითარი კავშირი არ მქონია მთელი ერთი წლის განმავლობაში. 1922 წლის დასაწყისში მინახულა ერთმა არალეგალური ცეკას წევრმა და მთხოვა ჩავმოდი არალეგალურ მუშაობაში. მე თანხმობა განუცხადე.

უნდა მომეწყო აჯანყება მილიციაში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ მინახულა ერთ ამხანაგთან ერთათ და მომცა დავალება, რომ დაუყოვნებლივ მომეხერხებია შესვლა თანამშრომლათ თბილისის მილიციაში, დამეწყო იქ მუშაობა, მომეწყო ყველა სამილიციო რაიონებში სამეულები, გამეწმინდა მილიცია შეძლების დაგვარათ სომხური ელემენტებისაგან და (ეს შესაძლებელი იქნებოდა სამეულების მოხერხებული ხრიკებით) როგორც ყველასათვის გასაგებია, გამევრცელებია არალეგალური ლიტერატურა, რის სისტემატიურათ მიწოდება აღმითქვეს. მილიცია ორგანიზაციულათ მზად უნდა მყოლოდა აჯანყებისათვის და როგორც შეიარაღებულ ძალას, მზარი უნდა დაეჭირა ჩვენთვის, შეეწყო ხელი ძალა

უფლების ხელში ჩასაგდებათ. აჯანყებას, მათი სიტყვით. აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა; გარეშე ძალების დახმარების პერსპექტივებზედაც მიმითითეს.

ამ დირექტივების შემდეგ შეუდექი საქმეს და რამოდენიმე თვის განმავლობაში ვმუშაობდი. მაგრამ, სიმართლის თქმა სჯობს, რომ დიდის გაკეთება ვერაფერი შეეძელი, რადგანაც მილიციის მთელი შემადგენლობის სიმპატია გადახრილი იყო არსებული ხელისუფლებისაკენ, მიუხედავათ იმისა, რომ მათი პირობები კიდევ არ იყო საგრძნობლათ გაუმჯობესებული.

სამსონ დობორჯგინიძე. ტერორიზმი. ბანდიტიზმი.

1923 წლის დასაწყისში (თვე არ მახსოვს) მივიღე ბარათი არალეგალურ ცეკას ერთი წევრისაგან, სადაც მწერდა: „შენ დღეიდან იქნები დაკავშირებული უშუალოთ სამსონ დობორჯგინიძესთან და იმის საშუალებით მიიღებ ყოველივე დავალებებს, დღესვე ინახულე სამსონი და რაც გითხრას, მასთან ერთად შეუდ ჭი იმ საქმის საჩქაროთ შესრულებასო“.

მეორე დღესვე ვინახულე სამსონი. მან მითხრა: „ჩვენ ცეკა გვავალებს, რომ მოვაწყოთ ერთი საიმედო ტერორისტული ჯგუფი, რადგანაც ტერორის შემოღებას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. იგივე ჯგუფი უნდა ახდენდეს ექსპროპრიაციებს, რადგანაც პარტია განიცდის საშინელ მატერიალურ კრიზისს“ო.

დავეთანხმე თანაც გადავდგით საამისო ნაბიჯები.

დობორჯგენიძემ მოიყვანა ერთი ცნობილი ბანდიტი № ჩემთან და გამაცნო საიმედო პირათ. №-ს დავავალეთ ამხანაგების შოვნა. მანაც სთქვა, რომ ჰყავს ორი საიმედო პირი. გაკეთა ერთი ექსპროპრიაცია. ვემზადებოდით მეორესათვის. იყო დავალება ერთის მოკვლის,— მაგრამ არ მოხერხდა, რადგან გიგო ილარიონ გიორგაძემ და განაცხადა: „თუ ასეთებს პარტიაში ადგილი ექნება, მე ვსტოვებ პარტიასო.“ უნდა გაგვეტაცებინა ერთი სტამბა და სხვა ბევრი ასეთები.

ერთი სიტყვათ მთელი ჩვენი მოქმედება გამოიხატებოდა საშინელ ბანდიტიზმში.

ილარიონ გიორგაძე

ილარიონ გიორგაძე, რომელსაც არ დავშორებივარ მთელი ორი წლის განმავლობაში, წინააღმდეგი იყო პარტიის ასეთი გადაგვარებისა. ის ხმამაღლა იტყოდა ხოლმე: „შორს არ არის ის დრო, როდესაც პარტიის ასეთი ბრძოლის მეთოდი დალუპვის გზაზე მიგვიყვანს“ო.

გასული წლის ზაფხულში ილ. გიორგაძე და ს. დობორჯგინიძე დაპატიმრა ხელისუფლებამ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეც დამიჭირეს შემთხვევით ახალგაზრდა მარქსისტების ცეკის წევრთან, ედიბერიძესთან. ჩეკამ იცოდა ჩემი კავშირი გიორგაძესთან და დობორჯგინიძესთან და, დაკითხვის შემდეგ, ჩემი თხოვნით, მოგვათავსეს ერთ საკანში მათთან ერთად.

თვეზე მეტი ვიჯექით ერთათ. ამ ხნის განმავლობაში ვეძებდით ახალ გზას. გვქონდა ხშირი ბაასი პარტიის შეფასებაზე. ილარიონი სწორ ანალიზს უკეთებდა პოლიტიკურ მომენტს. მან სისწორით გაითვალისწინა საერთაშორისო მდგომარეობა და უტყუარი დიაგნოზი დაუსვა რუსეთის დიდ რევოლიუციას და მასთან დაკავშირებით საქართველოს საკითხს. ის დაჟინებით ამბობდა: „რუსეთის ბოლშევიზმი თუ დამარცხდა, იქ აუცილებლად გამეფდება შავი რეაქცია და საქართველოც მის ბრჭყალებში მოექცევა. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიასთან კავშირს ჩვენ სოციალისტურ რუსეთთან კავშირი უნდა ვვერჩიოს“ო. ილარიონმა გაბედულად დაჰგმო სოციალ დემოკრატიული პარტია და გულწრფელად დადგა პროლეტარიატის წითელი დროშის ქვეშ.

დობორჯგინიძე არ ეთანხმებოდა, ილარიონს. ის ამბობდა: „შესაძლებელია სოციალ-დემოკრატიას მშრომელი ხალხი დალუპვის გზაზე მიჰყავდეს, მაგრამ მე მაინც პრინციპიალურათ არ შემიძლია მივიღო საბჭოთა სისტემა და თანახმა ვიქნები ხელისმოწერაზე იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლების შემდეგ თავს ვიმართლებ მით, რომ ჩეკამ გვაწამა და აუტანელი პირობების გამო იძულებული ვიყავით წავსულიყავით ასეთ დათმობაზე“.

ამაზე ილარიონმა საკადრისი პასუხი გასცა: „რა შუაშია პრინციპი თავმოყვარეობა და თუნდა პირადი „მეც,“ თუ კი ხალხის ინტერესები მოითხოვს ერთის დაგმობას და მეორე მიღებას. და მეორე, როგორ შეიძლება, რომ ჩვენ გვაიძულეს, კიდევაც რომ იყოს დასაშვები ამის თქმა, ეს სიმართლეს იქნება მოკლებული აქ ხდება გრანდიოზული ნაბიჯის გადადგმა და საჭიროა, რომ ადგილი ჰქონდეს უალრეს გულწრფელობას. თუ არ შეგიძლია შეგნებულათ დამეთანხმო ახალი პლატფორმის მიღებაზე, მაშინ ნებას მივსცემ თავს და დამოუკიდებულათ ვიმოქმედებ. მტყუანს და მართალს მომავალი გაასამართლებს.“

დიდი უთანხმობა იყო მათ შორის ახალი გზის არჩევის გარეშემო, ბოლოს დობორჯგინიძე დათანხმა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეოროტის განზრახვით, მოაწერეს ხელი განცხადებას და გავნთავისუფლდით სამივე ერთათ.

ილარიონ გიორგაძე იყო არალეგალური პროფბიუროს თავჯდომარე. ის იყო ქართველ მუშებს შორის დიდი ფიგურა. ის მუშის ნამდვილი განასახიერება იყო, ასეთი ბუმბერაზის პარტიიდან გამოსვლამ შეარყია მენშევიკების რიგები და ვერ ურიგდებოდენ ამ მდგომარეობას.

ცეკას დავალებით დობორჯგინიძე ემზადება გიორგაძის მოსაკლავათ.

განთავისუფლების შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, დობორჯგინიძემ სასწრაფოთ მინახულა და მითხრა: „აკი წინააღმდეგი ვიყავი პარტიდან გამოსვლის. ჩემი სიტყვები მართლდება. ჩვენი პატიმრობის დროს მდგომარეობას დიდი ცვლილება დასტყობია. ინტერვენციის შესაძლებლობა საგრძნობლათ გაუმჯობესებულა და გამარჯვების პერსპექტივები დიდია. ეხლა საშინელ მდგომარეობაში ვარ, არც აქეთ, არც იქით. აუცილებელია ჩადგომა ისევ სოციალ-დემოკრატებში. ამისათვის საჭიროა გადასვლა არალეგალურ მდგოვარეობაზე და ფურცლების გამოქვეყნება, რომ ჩვენ საშინლათ გვაწამეს ჩეკაში და აუტანელი პირობების გამო იძულებული ვიყავით ხელი მოგვეწერა. ეს მით უფრო დასაჯერი იქნება, რომ ნოე ხომერიკს უნახეს საზღვარ გარეთელ ბიუროსთან გაგზავნილი წერილის ასლი, სადაც სწერდა: „გიორგაძეს და დობორჯგინიძეს საშინლათ აწამებს ჩეკა და 7 დღეს სიმშილობდენო.“

მე ამაზე არაფერი ვუპასუხე. ორივე გავეშურეთ ილარიონთან. დობორჯგინიძემ მასთანაც განიმეორა ზემონათქვამი სიტყვები.

ილარიონი ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ საშინლად გაბრაზდა და მან დობორჯგინიძეს უთხრა: „შენ მეგონე პოლიტიკური მოღვაწე და ნამდვილათ კი ყოფილხარ პოლიტიკური ბალღი. ასეთი აზრი, მე მგონია, უკანასკნელ ბალღსაც კი არ მოუვა ქკუაში. სწორეთ ვერ გაიხარებს ის პარტია, სადაც შენ წევრათ იქნები. შენ ხარ პროვოკატორი, უნდა გითხრა სიმართლე; შენ უკვე ახდილი გაქვს პოლიტიკური ნამუსი და გირჩევნია დადგე

ერთხელ და სამუდამოთ ყოველგვარ პოლიტიკის გარეშეო.“

გაბრაზებულმა სამსონმა ამაზე უპასუხა: „ასეთ დროს ღალატი ძვირად დაგიჯდებ ამხანაგო ილარიონ“ და გავიდა გარეთ.

რამოდენიმე დღის შემდეგ დობორჯგინიძე მოვიდა ჩემთან და სთქვა, რომ მან გააკეთა მოხსენება არალეგალურ ცეკაში და საიდუმლოთ მითხრა: „თუ ილარიონი არ დაგვეთანხმება ერთ რამეზე, გლახა დღე დაადგებაო“.

ამ დროს შემოვიდა ერთი უცნობი, რომელიც ჩემ ბინაზე ჰყოლოდა დობორჯგინიძეს დაბარებული.

ეს აღმოჩნდა არალეგალური პირი — სოციალ დემოკრატი.

უცნობი მოკლეთ შეეხო იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ილარიონის პარტიიდან გულწრფელ გამოსვლას, მით უმეტეს ისეთ დროს, როცა დეკდარიანი და ხომერიკი დაჭერილებია. სრული მოსალოდნელია პარტიის მთლიანობა საბოლოოთ დაინგრესო. ილარიონი ხელმძღვანელი იყო არალეგალური პროფბიუროსი, ამბობს უცნობი N. ილარიონს თბილისის მუშები უყურებენ დიდი სიმპატიით თურმე ილარიონი აპირებს მუშებში მოხსენებით გამოსვლას; მოსალოდნელია ერთხმათ გაჰყვენ, განსაკუთრებით რკინისგზის მუშები და ეს მომასწავებელი იქნება ჩვენი საბოლოო განადგურებისო. ბევრს არ გავაგრძელებ. მე გამგზავნეს ილარიონთან შემდეგი დავალებით: ან გადავიდეს ის არალეგალურ მდგომარეობაზე, ან არავითარ შემთხვევაში არავითარი მოხსენება არ გააკეთოს და არ იკისროს ლიკვიდატორობა. წინაალმდეგ შემთხვევაში პარტია სასტიკ პასუხს აგებინებსო.

მე ეს ყოველივე გადავეცი ილარიონს, მან მოკლედ მიპასუხა: „მე არავის არ უყურებ და გავაკეთებ იმას, რასაც მიკარნახებს ჩემი რევოლიუციონური სინიდისიო“.

ეს პასუხი მე დობორჯგინიძეს ვაცნობე, რამაც მასზე საშინლათ იმოქმედა და მითხრა: „ჩემს არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლას მოითხოვს აუცილებლობაო“ და მთხოვა მეც გავყოლოდი და იქიდან ილარიონი მოგვენათლა საშინელი ბრალდებით „ფურცლების“ საშუალებით. მაგრამ მე ამაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. მან უკანასკნელად მთხოვა: „რაც მოხდა ამ მოლაპარაკების დროს არავის უთხრა და შენში მოკვდესო.“

ცეკამ მოკლა მუშა გიორგაძე.

არ გასულა ერთი კვირა. 29 დეკემბერს მაწანწალა დობორჯგინიძემ ილარიონი გაიტაცა ბინიდან და ქალაქის განაპირას ჩაბარა მხეცებს და ის იქვე მოჰკლეს მენშევიკების საზიზღარმა ტეროროისტებმა.

მუხანათების ორმა ტყვიამ დაადუმა გული, რომელიც ძგერდა ხალხის კეთილდღეობისათვის.

მენშევიკების რიგები ბანდიტებით არის სავსე.

მესამე ტყვიას ჩემსკენ მომართავთ ბატონო მენშევიკებო, მაგრამ მე არ მეშინია და სიმართლეს ვერ დავმალავ იქ, სადაც საჭიროა. თქვენ, შეიძლება, მეც მომთხოვოთ ანგარიშები თქვენებურათ, მაგრამ ვიმეორებ, რომ არ მეშინია. თქვენ მოჰკლავთ ჩემ სხეულს, მაგრამ ვერ შეეხებით ჩემს იდეას. განა მაუზერს შეუძლია მოჰკლას იდეა? განა კუთხიდან გამოსროლილი ტყვიით გინდათ მოსწყვიტოთ პროლეტარიატის წითელი დროშა? არა, ბატონებო ასეთი ბრძოლის ტაქტიქით თქვენ უფრო განადგურდებით და მტკიცე მუშათა კლასის ძალას გასკეცებთ.

თქვენ საბოლოოთ დაამტკიცეთ თქვენი უძლურება, როდესაც გაისვარეთ ხელი უმანკო სისხლში.

ილარიონის ვერაგული მკვლელობა აშკარა მაჩვენებელია იმის, რომ მენშევიკების რიგები ბანდიტებით არის სავსე.

მე თქვენთან ყოფნა სამარცხვინოთ მიმაჩნია მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი თქვენს უნიადაგობაში.

ყოველი პატიოსანი ადამიანი უნდა მოსცილდეს ბანდიტების და ავანტიურისტების ბუდეს.

განა შეუძლია დარჩეს ასეთ პარტიაში ის, ვისაც გული ოდნავ იტეკვს მშრომელი ხალხის ინტერესებს? განა შეიძლება თვალები არ აუწვას, ვინც კი ჩასწვდება თქვენს გულის სილრმეს და იქ წაიკითხავს უამრავ სიყალბეს?

კმარა ხალხის მოტყუება. შეეკრიბეს ის, რაც გავაკეთეთ ჩვენი უგონურებით და მომავალში ფრთხილათ, თორემ უკვე გონს მოსული მუშათა კლასი არ გეპატივებს ამდენს და საცაა გვიპასუხებს სამართლიანათ!

საქართველოს „დამოუკიდებლობა“ ძალიან ლამაზი სიტყვაა, მაგრამ შინაარსით არაფერს შეიცავს, ხალხს სურს დასვენება. ის უკვე შეცურებულია საბოლოო გამარჯვების ნავთსაყუდელში და საშინელი ღალატია მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ვაიავებ რა ჩემს გულწრფელ განცხადებას პრესაში, აღვნიშნავ, რომ არც ერთი პირი მე არ დამისახელებია არსად და დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა მე ვდგები გაბედულად კომინტერნის დროშის ქვეშ და მთელი ჩემი უნარით ვემსახურები მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებას.

მოუწოდებ ყველა შეგნებულ ამხანაგებს, სანამ გვიან არ არის, ზურგი აქციონ ყოველგვარ ავანტიურიზმს და დადგენ პროლეტარიატის ბრწყინვალე დროშის ქვეშ.

ვისაც ოდნავ გსურთ ქართველი ერის კეთილდღეობა, უნდა დაჰგმოთ ძველი უნიადაგო გზა და საბჭოთა პლატფორმაზე მხურვალეთ შეუდგეთ საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებას.

უშანგი ლომინაძე.

მოწერილი ამბები

ვინ არის მუშათა კლასის მოღალატე?

15 აგვისტოს 12 ათასმა მუშამ, საუკეთესო რევოლიუციონერმა მებრძოლებმა ყრილობაზე გაგზავნილი წარმომადგენლების სახით გაუგზავნა საზღვარგარეთ ნ. ჟორდანიას გულწრფელი წერილი, რომლის პასუხი ჩვენ უკვე წავიკითხეთ ამ დღეებში. მართალია პასუხს ხელს აწერს ნ. ჟორდანია, მაგრამ თვით შინაარსი მისი კი არის ამოძახილი მთელი ემიგრაციის. ჭკუაზე გვარიგებენ, „მამა-შვილურ“ რჩევას გვაძლევენ, ჯერ არ არის დაგვიანებული და დაფიქრდით, თორემ მერმედ

არ გაპატიებთო. ვინ მიმართავს ამ უკანასკნელი სიტყვებით მუშათა კლასს? პასუხიც ადვილია. ცხოვრებისაგან გარიყული, ვით სანაგვეში გადაგდებული უვარგისი ჩვარი და ხავს მოკიდებული ბურჟუაზია და ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერები. მარტინოვი რენეგატი არისო. ყოველ შემთხვევაში ჩემი შენ გითხარიო.

ამბ. მარტინოვი დღეს მუშათა კლასთანაა, მენშევიკები კი ევროპის ბურჟუაზიასთან. ლოლიკური დასკვნა სინამდვილის ასეთია: მარტინოვი ბურჟუაზიის რენეგატია, ემიგრანტი მენშევიკები კი მუშათა კლასის და რევოლიუციონური პროლეტარიატის რენეგატებია. ნ. ჟორდანიას და მისი ამალის რჩევა დარიგება ჩვენს გონებას, გულს და აზროვნებას არ ეკარება, პირიქით ის უფრო აღრმავეს ჩვენში კომუნიზმის რწმენას. ამ პასუხმა გაახარა მხოლოდ რევოლიუციის მტრები. ამ წერილით ამბროსი და ნაზარიც კი გაადიდებს დღეს ლოცვა კურთხევას ნ. ჟორდანიაზე. ჩვენ არა ვართ დაჩვეული მერჯეობას. მაკრათ გვიჭირავს ხელში კომუნიზმის წითელი დროშა და შეუდრეკლათ მივიტანთ მას საბოლოო გამარჯვებამდე. ევროპაში საქართველოდან გადახვეწილ მენშევიკებს უფრო სჯერათ იქაური ბურჟუაზიული პრესის ყალბი და დამახინჯებული ინფორმაცია, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების სინამდვილე. არ სჯერავთ რომ აღარ არსებობს მენშევიკური პარტია საქართველოში. არ სჯერათ რომ მუშათა კლასმა შექმნა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი, დაირაზმა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და არავითარ სხვა ძალას არ შეუძლია წინააღდეგეს მას. ვინც მუშათა კლასს ზურგი შეაქცია, მოღალატეც ის არის.

ს. სულაბერიძე

საჭიროა ლოთობის წინააღმდეგ ზომების მიღება.

ბევრი დაწერილა და კრებებზედაც ბევრი თქმულა მუშათა შორის ლოთობის შესახებ. მუშის ლოთობა ბოროტებაა.

ისეთი პიროვნება, რომელიც ღირებულებას არის ქმნის და სახელმწიფოს აღმშენებლობას-თანაც ნაკლები დამოკიდებულება აქვს, თუ არ დაიშლის, ჯანი გავარდეს ილოთოს, ამით საზოგადოება ბევრს აფერს დაკარგავს, მაგრამ სულ სხვა არის მუშის ლოთობა, რის გამო მისი შემოქმედებითი ძალა და ნიჭი სუსტდება. ამის გამო სუსტდება მუშური სახელმწიფოც, რომელიც დაყრდნობილია მშრომელი ხალხის უნარიანობაზედ როგორც ფიზიკურ შემოქმედებაში აგრეთვე გონებრივ მოსაზრება — ხერხისიანობაშიც.

ლოთობა აჩლუნგებს ადამიანს. სამწუხაროდ ლოთობის საწინამღდეკო დადგენილებებს ნაკლებათ აქცევენ ყურადღებას. სხვათა შორის ზოგიერთი თბილისელი ამაანაგებიც (მე მინდა ვთქვა ორთქლმავალზე მომუშავეების შესახებ). უკანასკვნელნი იმის მაგიერ, რომ 15—20 საათის მუშაობის შემდეგ დაღლილი ჯანი მოასვენონ მოსაბრუნებელ საყუდლებში (განსაკუთრებით მაინც განჯაში) ესენი შეუდგებიან ღვინის სმას და მთელ მოსასვენებელ დროს ანდომებენ ლოთობას და ატეხილი ღრიანცელით სხვებსაც არ აძლევენ მოსვენების საშვალებას. არაა გასაკვირალი, რომ ასეთი მოუსვენრობის გამო გზაში მარცხი მოსდით.

საჭიროა ასეთ მოვლენებს ადგილობრივად მიექცეს ყურადღება და ყოველი ასეთი გადამეტებული შემთხვევები ოფიციალურად ეცნობოს თბილისის ადგილკომს, რომელიც მიიღებს საჭირო ზომებს.

რ. კანდელაკი.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

* * *

გასული კვირის განმავლობაში ყურადღებას იპყრობდა საფრანგეთი, გერმანია და ინგლის-რუსეთის მოლაპარაკება.

საფრანგეთში როგორც ვიცით დამარცხდა პუანკარე.

დამარცხების შედეგათ მისი გადადგომა აუცილებელია.

მისმოადგილეთ ასახელებენ ერრიოს ან ბრიანს, მაგრამ უკანასკნელის სახელი გასული კვირის განმავლობაში აღარ ისმოდა.

გერმანიის მთავრობა ისევ განაგრძობს თვალთ-მაქცობას და აპიანურებს ინციდენტის გამო წარდგენილ მოთხოვნილებათა ასრულებას.

აღსანიშნავია აგრეთვე გერმანიაში ახალი დემონსტრაციები მემარჯვენეების, რამაც გამოიწვია წითლების კონტრ-დემონსტრაციისთვის მზადება.

მდგომარეობა გერმანიაში იმდენათ გართულებულია, რომ მას ადარებენ რატენაუს მკვლელობის დროის მდგომარეობას.

ინგლის რუსეთის მოლაპარაკებაც მიმდინარეობს. კონფერენციის პლენუმის სხდომები დაიწყო მას შემდეგ, რაც მოთავდა ზოგიერთ კომისიებში მუშაობა.

ჯერ-ჯერობით კონფერენციის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ასეთია მდგომარეობა საერთოდ.

* * *

საფრანგეთში წარსულ კვირაში ახალი მთავრობის ძიების „ციებ-ცხელება“ დაიწყო.

მემარცხენე ბლოკის გამარჯვების შემდეგ ფიქრობდენ, რომ სოციალისტები მთავრობაში მონაწილეობას მიიღებდნენ, მაგრამ საფრანგეთის სოციალისტური პარტიების ბელადმა ბლიუმმა, რენოდელმა და ბრაკმა განაცხადეს, რომ სოციალისტები არ შევლენ მთავრობაში, ხოლო ხელს შეუწყობენ საფრანგეთის რესპუბლიკის ეკონომიურ აღორძინებას და საფრანგეთში მშვიდობიანობის პოლიტიკის გატარების საქმეს.

— გაზ. „ეკო-დე-პარი“ სწერს, რომ ერრიო დასთანხმდება ახალი მთავრობის შედგენას სოციალისტების მონაწილეობის შიუღებლად.

მოსალოდნელია რომ აესეც მოხდეს. ახალი მთავრობის სათავეში ალბათ ერრიო იქნება. მოსალოდნელია რა თქმა უნდა საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლა, განსაკუთრებით ჩვენი კავშირის მიმართ. საფრანგეთის მემარცხენე ჯგუფში შემავალ დეპუტატებისაგან, საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე სოციალისტები არიან და ისინი კომუნისტების ზეგავლენით, ალბად დაუყოვნებლივ ცნობას მოითხოვენ.

ახალო მომავალი გვიჩვენებს, რას მოი-

თხოვს სოციალისტები ახალ პარლამენტში.

* * *

საფრანგეთის მთავრობის დაცემამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია მცირე ანტანტის. წკრილ სახელმწიფოებში, როგორიც არის მაგალ. პოლონეთი, რუმინია და სხვა. საფრანგეთის არჩევნების შედეგმა პოლონეთი განსაკუთრებით ცუდ გუნებაზე დააყენა. ყველა პარტიები, პოლ. სოც. პარტიასთან ერთად გულის ფანცქალით მოელიან საფრანგეთის პოლიტიკის შეცვლას.

სეიმის წევრები მით უფრო შეშფოთდენ, რომ ერრიომ და პენლევემ პოლონეთში გამეფებულ თეთრი ტეროორის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს.

ხმებია, რომ პარიზში მყოფ პოლონეთის ელჩს ხლოპოვსკის გაიწვევენ და ზამოისკი გადადგებაო. საგარეო საქმეთა მინისტრად სკრიჟინსკის ასახელებენ.

* * *

არჩევნების შედეგმა რუმინეთის მთავრობის წრეებსაც გული დასწყვიტა. მთავრობის გაზეთები ცდილობენ გაიქარწყლონ ეს შთაბეჭდილება, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ.

არჩევნების შედეგს დიდ მნიშვნელობას აძლევენ მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიები, რომელნიც მოკლე ხანში მოელიან ბრატიანუს, მთავრობის დამხობას. მოწინააღმდეგე პარტიები შეთანხმებას აპირებენ. მათი მიზანია წარუდგინონ მეფეს მისი დაბრუნებისთანავე მოთხოვნილება ბრატიანუს გადაყენებისა და ახალი შეთანხმებული მთავრობის დანიშვნის შესახებ. ამავე დროს მოწინააღმდეგე პარტიები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას.

* * *

პუანკარეს დამარცხებამ სამხრეთ-სლავიის მთავრობის წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მცირე ანტანტის ყველა სახელმწიფოთა გაზეთები იმედოვნებენ, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩებაო. მიუხედავად ამისა მეფე ალექსანდრემ სხვა დროისთვის გადასდო საფრანგეთში მოგზაურობა.

მოსალოდნელია, რომ ჩეხო-სლოვაკიას შეცვლის თავის ძველს პოლოტიკას და გააცხოველებს მუშაობას საბ. კავშირთან დასაახლოვებლად, იმ შიშით, რომ საფრანგეთმა არ დაასწროს საბჭოთა კავშირის ცნობა.

ამრიგად პუანკარე ომის დამარცხებამ დიდი ფაცა ფუცი გამოიწვია მცირე ანტანტაში.

* * *

ჩვენსა და გერმანიის შორის გამწვავებული მდგომარეობა კვლავ რჩება. გარდა სხვა ზომებისა გერმანიის წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობამ შესწვიტა ხორბლეულობის გერმანიაში გატანა, ხორბლით დატვირთულ საბჭოთა გემებს აეკრძალათ გერმანიის ნავსადგურებში შესვლა. იქ გაგზავნილი სურსათი სხვა ქვეყნებში იქნება გატანილი.

გერმანიაში ცეკავშირის ყველა განყოფილებები დაიხურა. რეზინის ტრესტი ბერლინში აღარ გაიხსნება. თანამშრომლები უკან გამობრუნდენ. სავაჭრო წარმომადგენლობა ბერლინში გახსნილია მხოლოდ ერთი საათით დღეში იმისთვის, რომ სხვადასხვა სავაჭრო საზოგადოებებთან დადებული ხელშეკრულებანი გაიუქმოს. ვნახოთ, შეიწუხებს თუ არა თავს ეხლაც გერმანიის მთავრობა.

* * *

დიდი აურ ზაურია გერმანიაში, აგრეთვე მარქსის მთავრობის გარშემო.

ნაციონალისტებმა მოითხოვეს მარქსის მთავრობის გადადგომა, უკანასელმა უარი განაცხადა გადადგომაზე. ნაციონალისტები იმუქრებიან.

მემარჯვენე პრესა აცხადებს, რომ მარქსი და შტრეზემანი, რომლებსაც არ სურთ გამოეთხოვონ მინისტრების სავარძლებს, დამნაშავეთა სკამზე უნდა იჯდენო.

მთავრობის პრესა ბრალს სდებს ნაციონალისტებს იმაში, რომ მათ ოღონდ კი ძალაუფლება ჩაიგდონ ხელში და მზად არიან ავანტიურისათვისო.

აი ამაზე იტყვიან:

—აირია მონასტერი-ო.

* * *

კვლავ შესდგა ინგლისის-რუსეთის კონფერენციის სხდომა 20 მაისს პონსონბის თავმჯდომარეობით. მთავრობის ცნობის თანახმად, საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ ამჟამად ის ამზადებს დებულებას ეკონომიური საკითხების გადასაჭრელად. საბჭოთა დელეგაცია მზადაა გამოსთქვას აზრი ომის წინა დროის ვალებისა და არა კერძო პირებისათვის ნივთიერ ზარალის ანაზღაურების შესახებ. საბჭოთა დელეგაციამ ბრიტანეთის დელეგაციას გადასცა აგრეთვე მოთხოვნილება რუსეთის სესხის შესახებ ბრიტანეთის ბაზარზე. ბრიტანეთის დელეგაციამ თანხმობა განაცხადა მის განხილვაზე.

საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმდება გამოყოს თანხის ნაწილი ბრიტანეთის ქვეშევრდომთა ზარალის ასანაზღაურებლად, თუ მას გრძელ ვადიანი სესხი მიეცემა.

ამის საპასუხოთ ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისათვის სესხის გაღების საკითხში ინგლისის მთავრობას არ შეუძლია რაიმე წინასწარი პირობის მიცემა. მაგრამ დელეგაცია იმედოვნებს, რომ სესხის მ. ლების საკითხში საბჭოთა მთავრობა არ შეხვდება დაბრკოლებას და სესხის მიღების საქმე წარმატებით დაგვირგვინდება.

ინგლისის მთავრობა მზად იქნება, რომ სესხის გამოშვების საქმეს ხელი შეუწყოსო.

ვალების ანაზღაურების და სესხის მიღების საკითხები არის უმთავრესი საკითხთაგანი ამ კონფერენციის მუშაობაში. როგორც ვხედავთ მათ გარშემო დიდ უთანხმოებას ადგილი ჯერ-ჯერობით არ აქვს. ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენათ არის ინგლისი მოწადინებული განაახლოს ჩვენთან ნორმალური ურთიერთობა

ქრონიკა.

✦ **დასრულდა** ა. კ. კომ. ორგანიზაციების ყრილობა.

✦ **ყრილობამ** აირჩია საოლქო კომიტეტი, რომლის სხდომა შესდგა ა/წ. 15 მაისს.

✦ **ა. კ. კომ. ორგანიზაციების** საოლქო კომიტეტის სამუშაო აპარატში არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები პრეზიდიუმში შევიდენ: ამხ. გუსეინოვი, კიროვი, ლუკაშინი, მიასნიკოვი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ცხაკაია, ელიავა, იაკუბოვი.

კანდიდატები: ამხ. ლომინაძე, მახარაძე, ბუნიატ-ზადე, იოანისიანი, კახიანი და სემკოვი.

✦ **სამდივნოში** არჩეულია ორი მდივანი: ამხ. მიასნიკოვი და ქართველიშვილი.

სამდივნოს წევრებათ არჩეული არიან: ამხ. კახიანი და სემკოვი.

შეხდგა ამიერ კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის სამუშაო აპარატი: ა.ქ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, ამხ. ამაიაკ ნაზარეტიანი, პასუხისმგებელ მდივნად ამხ. ვანო სტურუა. პრეზიდიუმში შევიდენ შემდეგი ამხანაგები: ნაზარეტიანი, შამშელეფავა, სტურუა ვანო, ათარბეკოვი.

გახსულ კვირას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საქართველოს ექიმთა მე 2 სამეცნიერო კონგრესი.

ადერბეიჯანში გადამდებ სნეულებასთან მებრძოლ კომისიის მიერ გამოცხადებულია ექიმების მობილიზაცია.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შესწყვიტა ნებართვების გაცემა გერმანიაში საქონლის გატანის შესახებ.

დაიწყო მორიგი გაწვევა ახალგაზრდებისა ჯარში.

გამოქვეყნდა უშანგი ლომინაძის წერილი, საიდანაც სჩანს რომ ამხ ილ. **გიორგაძე მოკლულია არა-ლეგალურ მენშევიკურ ცეკას მიერ.**

მთავრობამ დანიშნა სპეციალური გამომძიებელი პრისტავ მახარაძის „საგმირო“ საქმეების გამოსაძიებლათ. ამხანაგები, ვინც იცის რამე მისი „მოღვაწეობის“ შესახებ ვალდებულია განუცხადონ ამხ. კუპრაშვილს, რომელიც დანიშნულია ამ საქმის გამოსაძიებლათ.

სხვა და სხვა ამბები

ინგლისის ბანკირების ჯგუფი აპირებს სესხის მიცემას გერმანიისათვის,

იუზი (ამერიკა) კვლავ განაგრძობს ინტრიგებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისი ავიწროებს ჩინეთს. ინგლისელი ჯარისკაცები თარეშობენ ჩინელების ბინებში და ავიწროებენ მოსახლეობას.

ამის გამო ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ აღშფოთებულია.

საპროტესტო მიტინგზე, რომელსაც 200 დეპუტატი და ჟურნალისტი დაესწრო გამოტანილ იქნა დადგენილება ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

ოსმალეთის პრესა აწარმოებს კომპანიას ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ.

რუმინიაში მეფის შემკვიდრის თავმჯდომარეობით შესდგა გენერალური შტაბის საიდუმლო თათბირი. სხდომას ჯარებისა და ფლოტის ყველა სარდლები დაესწრო.

ამ დღეებში მოელიან ოსმალეთ-საფრანგეთის კონფერენციის გახსნას.

საბჭოთა ნავთი მიერეკება საზღვარგარეთის ბაზრებიდგან კონკურენტებს. უკანასკნელ ხანებში განაღდებულია 70.000 ტონა.

დაიწყო იაპონიას და ს. ს. კავშირის მოლაპარაკება.

ს. ს. რ. კავშირმა გერმანიას ეკონომიური ბოიკოტი გამოუცხადა.

იაკუტკის ოლქში აღმოჩენილია დიდძალი ოქროს მადნები,

უკანასკნელი ცნობით საფრანგეთის მთავრობაში სოციალისტები არ შევლენ.

საფრანგეთის პარლამენტში გამარჯვებულ მემარცხენე ბლოკში, სოციალისტები მოითხოვენ ს. ს. რ. კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

პენსიის კანონპროექტის განხილვის დროს კულიჯი (ჩრ. ამერიკის პრეზიდენტი) დამარცხდა. კანონპროექტი მიღებული არ იქნა.

მოსკოვში გაიხსნა ს. ს. რ, საკავშირო კომპარტიის მე-XIII ყრილობა.

დასრულდა ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

ყრილობამ დაადგინა: პარტია შევიდეს მუშათა პარტიის შემადგენლობაში იმ მიზნით, რომ ჩაუნერგოს მუშებს კომუნისტური იდეები და იბრძოლოს ოპორტიუნისტების წინააღმდეგ.

ინგლისი—რუსეთის კონფერენციის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

თემა პალატაში შეკითხვაზე თუ ვინ არის ეხლა საბჭოთა მთავრობის სათავეში და ვისგან არის საბჭოთა დელეგაცია აღჭურვილი მინდობილობით მოლაპარაკების საწარმოებლათო, მაკდონალდმა უპასუხა, რომ დელეგაციას რწმუნება სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისაგან აქვსო.

პალატის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს, ცნობის შემდეგ ისევე უნდა მოვეპყრათ, როგორც სხვა სახელმწიფოებსო.

მაკდონალდმა უარი სთქვა პალატაში რუსეთ-ინგლისის კონფერენციის მუშაობის შესახებ ინფორმაციაზე და დაჰპირდა პალატას ანგარიშის წარდგენა, კონფერენციის დასრულების შემდეგ.

სწარმოებს რურის მაღაროს მუშების გაფიცვა.

კომინტერნმა გადასდო მათ სასარგებლოთ 10.000 მანეთი.

ინგლისის მეცნიერთა ერთ ჯგუფს ნება დართული აქვს, თანახმათ მათ თხოვნისა, ს. ს. კავშირში შემოსვლა, დათვალიერების მიზნით.

გერმანიის ნაციონალისტები მოითხოვენ მარქსის მთავრობის გადადგომას.

— **მოსკოვში** გარდაიცვალა ძველი კომუნისტი და დამსახურებული რევოლიუციონერი ნოგინი.

— **ამხ. კრასინი** ასე ახასიათებს ნოგინს: „გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი, ის იყო კომპარტიის უძველესი წევრი და მისი დამაარსებელი. ამხ. ნოგინის ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლა იყო მუშებისა და გლეხების საქმისათვის. მეფის ციხემ და კატორღამ ვერ გასტეხა მისი როგოლიუციონური ბუნება. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. ნოგინი იყო შრ. სახ. კომისარი და უმ. სამ. საბჭოს წევრი; შემდეგ კი ის სათავეში დაუდგა საქსოვ სინდიკატს. ამხ. ნოგინი ახლო იდგა მუშათა მასებთან და ის უყვარდა ყველას, ვისაც მასთან საქმე ჰქონდა“.

დეპეშები იუწყებიან, რომ ერრიოს მიენდო მთავრობის შედგენა.

მთავრობა რადიკლებისაგან იქნება შედგენილი.

საფრანგეთის პალატის თავჯდომარეთ ასახელებენ პენლევეს.

რუმინიაში ებრაელებს არბევენ დარბევაში სტუდენტები იღებენ აქტიურ მონაწილეობას.

— ტეხნიკური პირობების გამო (ახალ სტაბბაში გადასვლა) ამ ნუმერში არ მოთავსებული ზოგიერთი ამხანაგების წერილები დაიბეჭდება შემდეგ ნუმერში.

ამხანაგებო! რედაქცია გთხოვთ გაასწოროთ ანგარიშები.

სარედაქციო კოლეგია:
ნ. ჩლაიძე.
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
გ. ვარდიანი.

ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 3-მე სტამბა შეკვ. № 1071 ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ №1432 ტირაჟი 1400.